ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 2 თებერვალი, 2017 №27 (7262) ფასი: 50 თეთრი

„რუსეთისა და თურქეთის არმიები ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე შეეჯახებიან“ გვ.4





2 თებერვალიდან

ძმები გრიმები

რაპუნცელი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# სკანდალური ფარული ჩანაწერი

## მიხეილ სააკაშვილი მოსამართლეებს აშანტაჟებს





გვ.7

„ქართული ოცნება“ სააკაშვილზე გავრცელებულ ფარულ ჩანაწერზე სამართლებრივ რეაგირებას ითხოვს

## „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას აპირებს“

ლევან ხაბეიშვილი: „ხელისუფლება გიგა ბოკერიად გადაიქცა“ გვ.3

„ვინ უნდა გაუწიოს „ოცნებას“ წინააღმდეგობა, პატრიოტთა ალიანსმა, რომელიც ივანიშვილმა პარლამენტში ძალით გაიყვანა? ასევე არაფერს არ უნდა ველოდოთ „ევროპული საქართველოსგან“, რომელიც პარლამენტში ისე მოხვდა, არჩევნებში მონაწილეობაც კი არ მიუღიათ“.



## შსს: „რუსეთს არანაირ ინფორმაციებს არ ვაწვდით“

რაში ადანაშაულებს ლია მუხაშავრია ხელისუფლებას გვ.2



## აპირებს თუ არა ტრამპი რუსეთისთვის საქართველოს ჩაბარებას გვ.2



## „ბავშვთა სამყაროს“ ხელში ჩაგდებას და 10-მილიონიანი ინვესტიციის ჩაძლებას აპირებდნენ“



გვ.6

„ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი: „თუ ჩემი ბრალეულობა იქნება, მზად ვარ, ციხეში ჩავჯდე“



ვის ეკუთვნის „ბავშვთა სამყარო“?

ISSN 1987-9385
9 771987 938006



გვ.4 რომან გოცირიძე: „გაზპრომთან ხელშეკრულება საქართველოსთვის საზიანოა“

# გიორგი კანდელაკი: „შს და თავდაცვის მინისტრებისგან პასუხს ვითხოვთ“

ნათია ხურცილავა



პარლამენტის ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი, დეპუტატი გიორგი კანდელაკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საგანგებო სხდომა უნდა იქნას მოწვეული.

***– ბატონო გიორგი, თქვენი ფრაქცია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების პარლამენტში მისვლას ითხოვს. რა კითხვები გაქვთ მინისტრებთან?***

– ჩვენი მოთხოვნა განაპირობა იმ რამდენიმე ნაბიჯმა, რომლებიც ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ გადადგა. მთავრობამ მოუხშირა ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რაც პირდაპირ ურტყამს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

***– კონკრეტულად რომელ ნაბიჯს გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ შსს-ს წარმომადგენლის მიერ საკუთარი პირით დადასტურებულს, რომ შს სამინისტროს ჩვენი დამსახურებული ოფიცრის პირადი მონაცემები, რომლებიც საიდუმლო გახლავთ და ეს მონაცემები კანონით არის დაცული, თურმე ოკუპანტი სახელმწიფოსთვის გადაუცია. ამ ოფიცრებს ჩვენი სახელმწიფოს თავისუფლებისთვის ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე აქვთ განწირული და სისხლი აქვთ დაღვრილი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მტრული ქვეყნისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა სისხლის სამართლის დანაშაულია და კანონით ისჯება. ეს ყველაფერი სახელმწიფო ღალატის ნიშნებს შეიცავს. ეს საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ მოწვეულ იქნას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საგანგებო სხდომა. თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაული დადასტურდა, მაშინ პასუხი უნდა აგოს ყველა იმ პირმა, ვინც მტრულ სახელმწიფოს გადასცა ეს საიდუმლო ინფორმაცია.

***– ამ ინფორმაციას არ ადასტურებს არც შინაგან საქმეთა მინისტრი და არც ერთი სხვა ოფიციალური პირი.***

– როგორ არა, გაუმართლებელ რაღაც საბუთებს იგონებენ, ინტერპოლს იშველიებენ. რუსეთის მიერ ინტერპოლში გაგზავნილია ისეთი მოთხოვნა, რომელიც მათ ვერ ექნებოდათ, თუ ქართული მხარე არ გადასცემდა. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საქართველოს მოქალაქის, ოთხოზორიას მკვლელის ინტერპოლით ძებნაზე დასმა. საერთოდ საუბარი არ არის იმ რუს სამხედრო პირებზე, რომლებმაც 2008 წელს სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს.

***– ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში 2008 წლის ომის გამოძიება მიმდინარეობს.***

– მეორე მიზეზი, რატომაც ვითხოვთ თავდაცვის მინისტრის მოსვლას პარლამენტში, არის მე-5 ბრიგადის ფაქტობრივად დაშლა. ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს ამცირებს. რატომ? ამ კითხვაზე ვითხოვთ მინისტრისგან პასუხს. ეს, როგორც მინიმუმ, არის მცდარი ნაბიჯი. ესეც საკმარისზე მეტი საფუძველია იმისთვის, რომ პარლამენტში საგანგებო სხდომა იქნას მოწვეული.

***– ელოდებით, რომ მოვლენ მინისტრები, თუ ეს არის თქვენი მხრიდან ერთგვარი პოლიტიკა?***

– მათი ვალდებულებაა, რომ მოვიდნენ და ამ კითხვებზე გაგვცენ პასუხები, ეს არის ვალდებულება, რომელსაც აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია აკისრებს. ჩვენი, როგორც ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების, ვალდებულებაა, რომ ეს კითხვები დავსვათ და ყველა ფორმატში, ყველა ფრონტზე შევუტიოთ მთავრობას, რომელიც მავნებლურ ნაბიჯებს დგამს. სამწუხაროდ, ამ ნაბიჯების რაოდენობა უკვე თვალშისაცემად ბევრია.

***– როდესაც ოპოზიციას ხელისუფლების მიმართ ბრალდება აქვს, რომ ის რუსეთუმეა, ხშირად მთავრობის არგუმენტია, რომ მან ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომ მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია. რას იტყვით ამ არგუმენტებზე?***

– ეს არ არის არგუმენტი. უვიზო მიმოსვლა, ჩვენი გეგმის თანახმად, საქართველოს ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა მიეღო. სამწუხაროდ, ჩვენს მთავრობას არ აღმოაჩნდა კომპეტენცია, რომ დროულად მიგვეღო ვიზალიბერალიზაცია და ეს პროცესი ბოლომდე მიეყვანა. საბედნიეროდ, პროცესი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიდა ლოგიკურ ფინალამდე, რომელიც 2012 წელს არის დაწყებული. რა თქმა უნდა, მინდა საქართველოს მოქალაქეებს მივულოცო ეს დღე. სამწუხაროა, რომ ჩვენი მოქალაქეები მთავრობის არაკომპეტენტურობის გამო აქამდე ვერ სარგებლობდნენ ამ სიკეთით.

# შსს: „რუსეთს არანაირ ინფორმაციებს არ ვაწვდით“

## რაში ადანაშაულებს ლია მუხაშავრია ხელისუფლებას



შორენა მარსაგიშვილი

ქართველ სამხედროებზე ატეხილი სკანდალი გრძელდება. რუსული მედიის ცნობით, მათი ხელისუფლება 50-მდე ქართველ სამხედროს ეძებს. ეს სამხედროები 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდნენ.

ვიცე-პოლკოვნიკი გია ცერცვაძე, რომელიც რუსეთის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ძებნის გამო დააკავეს, ამბობს, რომ რუსებს გადაწყვეტილი აქვთ ქართველების გატაცება. რუსებისგან თავის დასაცავად მან ამ დღეებში უკრაინის ხელისუფლებას სთხოვა თავშესაფარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით კი, სამხედროებს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. უწყების ცნობით, მოსკოვს მათზე ინტერპოლით ძებნა არ გამოუცხადებია.

– ძებნა ინტერპოლით ამ ადამიანების მიმართ, ვინც არიან უკრაინაში საქართველოს მოქალაქეები, მათი ძებნა არ ხორციელდება. არც მაყიშვილი და არავინ, გარდა ცერცვაძისა, ასეთი ქეისი არ გვაქვს ან ვინმეზე იყოს რაიმე ინფორმაცია გადაცემული, რაც უკავშირდება ჯარისკაცებს, რაიმე საფრთხე ან საშიშროება ქართველ სამხედროებს არ ემუქრებათ, – განუცხადა ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა.

ამ თემის სკანდალური გაგრძელება იყო ადვოკატ ლია მუხაშავრიას განცხადება. ის საქართველოს ხელისუფლებას ადამიანებით ვაჭრობაში ადანაშაულებს. ამ შემთხვევაშიც საუბარია ქართველი სამხედროების საქმეზე, რომლებზეც რუსეთის ფედერაციას ძებნა აქვს გამოცხადებული.

როგორც „ქართულ სიტყვასთან“ საუბარში მუხაშავრიამ განაცხადა, ქართული მხარე ჩუმად აკავებს იმ პირებს, ვისზეც რუსეთს ძებნა აქვს გამოცხადებული, შემდეგ გადასცემს რუსულ მხარეს და იღებს ფულს.

– რუს სამართალდამცავებს რეაგირება ერთადერთ საქმეზე ჰქონდათ – ეს მშვიდობიანი მოქალაქის გაუპატიურების ფაქტი იყო, რამდენიმე პირის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, მაგრამ მათი პასუხისმგებლობა მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლა. ამიტომაც არ გამიკვირდება, რომ 2008 წლის ომის მონაწილე ქართველ სამხედროებზე სისხლის სამართლის საქმის დევნა მიმდინარეობდეს.

სამართლებრივად, გია ცერცვაძის საქმეს 2008 წლის ომს არ დავუკავშირებ, უფრო უკრაინაში მიმდინარე პროცესების ნაწილად მივიჩნევ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ადამიანებით ვაჭრობის თემებზე რუსეთის ხელისუფლებასთან წარმატებულად თანამშრომლობს. თუ ვინმეზე რუსეთის პროკურატურას ინტერესი აქვს, ჩვენები აკავებენ, ჩუმად, არაოფიციალურად გადასცემენ და ამაში ფულს იღებენ. – განაცხადა ლია მუხაშავრიამ „ქართულ სიტყვასთან“ ინტერვიუში.

ადვოკატის სკანდალურ ბრალდებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განმარტება გააკეთა.

მინისტრის მოადგილე, შალვა ხუციშვილი აცხადებს, რომ რუსეთთან არანაირი თანამშრომლობა ხელისუფლებას არ აქვს:

– არ ვიცი ქალბატონი ლია მუხაშავრია რა წყაროებზე დაყრდნობით აკეთებს განცხადებას, მაგრამ შემიძლია სრული პასუხისმგებლობით დაგიდასტუროთ, რომ არანაირი ინფორმაციის გადაცემა, არანაირი თანამშრომლობა მით უმეტეს პირდაპირი, არ ხორციელდება და არც ინტერპოლით ჯარისკაცებთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაციის გადაცემა არ ხორციელდება, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

# აპირებს თუ არა ტრამპი რუსეთისთვის საქართველოს ჩაბარებას

„რადიო ფრანს ინტერნასიონალს“ („საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს“) მიერ 29 იანვარს ეთერში გადაცემულ საქართველოს ამბების მიმოხილვის დროს კორესპონდენტი შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის სავარაუდო პოლიტიკას შეეხო საქართველოსთან მიმართებაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სიუჟეტის ქართულენოვან რეზიუმეს.

◆ ◆ ◆

– თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნამდვილად დაიწყებს თავისი წინასაარჩევნო საგარეოპოლიტიკური პროგრამის შესრულებას რუსეთთან ურთიერთობის საკითხში, მაშინ არსებობს იმის რისკი, რომ საქართველო რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გადაიქცეს, – ასე დაწერა ქართველმა პოლიტოლოგმა ნიკა იმნაიშვილმა დონალდ ტრამპის აშშ-ის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თავის სტატიაში შთამბეჭდავი სათაურით „აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ის, ვინც ვლადიმირ პუტინს სურდა“.

საქართველოს ხელისუფლება არ იზიარებს საზოგადოების ნაწილში დამკვიდრებულ პანიკურ განწყობებს: მისალოც განცხადებებში პრეზიდენტმაც და პრემიერ-მინისტრმაც მტკიცე რწმენა გამოხატეს, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის ურთიერთობა მომავალშიც „სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის“ საფუძველზე განვითარდება.

ფრანგ კორესპონდენტთან საუბარში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თედო ჯაფარიძე, რომელიც წლების განმავლობაში იყო საქართველოს ელჩი აშშ-ში, აცხადებს:

– ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას რუსულ კონტექსტში განიხილავდა, ჩვენ კი ყოველთვის გვსურდა, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიის ნაწილი ყოფილიყო. იმიტომ, რომ თბილისი აშშ-ის ერთგული მოკავშირეა და უფრო იმიტომაც, რომ საქართველო, როგორც რეგიონის ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო, აშშ-სთვის საჭირო ქვეყანაა.

გამოცდილი დიპლომატის განცხადება იმას მოწმობს, რომ თბილისი ბევრს ელოდებოდა პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი გუნდისაგან. აბა, განა რას უნდა ელოდოს თბილისი აშშ-ის იმ პრეზიდენტისაგან, რომელმაც არაერთხელ მიანიშნა იმაზე, რომ მზადაა, გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები „ახლო საზღვარგარეთში“?

როგორც ჩანს, აშშ-ის საელჩოში იგრძნეს ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობები და ელჩ იან კელის განცხადებამაც არ დააყოვნა.



მან ხაზი გაუსვა, რომ თეთრი სახლის პოლიტიკა საქართველოს მიმართ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროსაც არ შეიცვლება. ელჩმა გაიხსენა კონგრესის რეზოლუციები საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, სენატორების მიერ გაკეთებული განცხადებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ და ა.შ.

მოკლედ, გული არ გაიტეხოთ, დახმარება გაგრძელდებაო.

ნიუსპრესი

# მაესტროს შემდეგ იმედმა ჯიდიესიც იყიდა

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის შვილის, ბერა ივანიშვილის კუთვნილი ტელეკომპანია ჯიდიესი უკვე ოფიციალურად იყიდა ტელეკომპანია იმედმა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, მოლაპარაკებები ამ თემაზე 27 იანვარს დასრულდა და შედეგად, ჯიდიესის მფლობელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპია“, მისი 100%-იანი წილის მფლობელი კი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი, ინა გუდავაძეა.

თავის მხრივ, „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ტელეკომპანია იმედს ფლობს.

გასული წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია იმედი ჯიდიესის და მაესტროს შეძენას აპირებდა. იმავე პერიოდში იმედმა გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც, მაესტროს საკონტროლო პაკეტის შეძენაზე შეთანხმება უკვე გასული წლის მიწურულს იყო მიღწეული, ჯიდიესთან კი დასკვნით ფაზაში იყო შესული.

მათივე ცნობით, ამ 3 ტელეკომპანიის გაერთიანებით მედიაჰოლდინგის შექმნა იგეგმებოდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას აპირებს“

## ლევან ხაბეიშვილი: „ხელისუფლება გიგა ბოკერიად გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

შექმნიან თუ არა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საარჩევნო ბლოკს, რას უპირებს „ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტს, როგორ ისჯებიან საპროტესტო აქციების მონაწილეები, რა გეგმები აქვს ბიძინა ივანიშვილს, იყრის თუ არა თბილისის მერად კენჭს გიორგი ვაშაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პოლიტიკური გაერთიანება „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი არ გამორიცხავს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ბიძინა ივანიშვილის პრეზიდენტად არჩევას უკავშირდება. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– არა მგონია, რომ ივანიშვილს ხელისუფლებაში მობრუნება უნდოდეს. მისი მმართველობის სტილი ასეთია – ჩრდილშია, ოფიციალურად არაფერზე არ აგებს პასუხს, მაგრამ რეალურად ის მართავს ქვეყანას. არა მგონია, ივანიშვილს უფუნქციო პრეზიდენტის მანტია ხიბლავდეს, მას რუხი კარდინალობა ურჩევნია

საერთოდ მგონია, რომ „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას აპირებს და ამისთვის ძალიან ბევრსაც მუშაობენ. ამ გადაწყვეტილებას საპარლამენტო მოდელზე გადასვლით გაამართლებენ. იმ არგუმენტსაც მოიშველიებენ, რომ 25 მილიონიც დაიზოგება თუ უფუნქციო პრეზიდენტის არჩევნები აღარ ჩატარდება.

***– პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას თუ აპირებენ, ამაზე ხმამაღლა რატომ არ მიდის საუბარი?***

– ამ თემაზე ბევრი კრიტიკა მიიღეს და ურჩევნიათ, ნელ-ნელა მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი. მაგალითისთვის რამდენიმე ევროპულ ქვეყანასაც მოიყვანენ, სადაც საპარლამენტო მოდელია. არა მგონია, რომ მარგველაშვილის ვადის ამოწურვის შემდეგ ჩვენ კიდევ ავირჩიოთ პრეზიდენტი. „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს და ამ ცვლილებას უპრობლემოდ შეიტანენ კონსტიტუციაში.

***– საპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს?***

– ვინ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა, პატრიოტთა ალიანსმა, რომელიც ივანიშვილმა პარლამენტში ძალით გაიყვანა? ასევე არაფერს არ უნდა ველოდოთ „ევროპული საქართველოსგან“, რომელიც პარლამენტში ისე მოხვდა, არჩევნებში მონაწილეობაც კი არ მიუღიათ. ასეთი მოქმედება ბოკერიას სტილია, ამ პარტიის არსებობა არავინ არ იცოდა და დღეს პარლამენტში 21 კაცი ჰყავთ. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს პარტია იქნება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა 2.

„ევროპული საქართველო“ პარლამენტში ივანიშვილის ფსევდოოპოზიციის როლს შეასრულებს. ამ ძალის ლიდერებს ქვეყნის არაფორმალურ მმართველთან ძალიან ბევრი ვალდებულება აქვთ. შეთქმულებების თეორიები არ მიყვარს, მაგრამ ეს რომ ასეა, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

***– „ევროპული საქართველო“ ვახსენეთ და***



***რას ფიქრობთ მათთან ერთად საარჩევნო ბლოკის შექმნაზე? უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე არ გამორიცხავს, რომ „გირჩმა“, „ევროპულმა საქართველომ“, ნაციონალებმა და „ახალმა საქართველომ“ ბლოკი შექმნათ.***

– ნიკოლოზს ვიცნობ და მის პოზიციებს არ ვიზიარებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ცალსახად სისულელე თქვა. „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავერთიანდებით. თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა იმიტომ დატოვა ჩვენმა გუნდმა, რომ ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, დათო ბაქრაძე, ხათუნა გოგორიშვილი და გოკა გაბაშვილი იყვნენ კულუარული მმართველები. ყველა სიკეთესთან ერთად, ისინი მანდატების ქურდებიც აღმოჩნდნენ.

როგორ უნდა ვითანამშრომლოთ იმ გუნდთან, რომელსაც არანაირი რეფორმა არ გაუტარებია. არადა ამ ხალხს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავა. გიგა ბოკერიას გატარებულ რეფორმას ვერავინ ვერ იხსენებს. მასზე რაღაც მითებია შექმნილი, რომ დასავლეთთან კარგი კავშირები აქვს და ამ ფრონტზე რაღაცებს ალაგებს.

დავით ბაქრაძე პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მისი სპიკერობის დროს პარლამენტი ნოტარიუსად იყო ქცეული. მაშინდელ მთავრობაზე პარლამენტი კონტროლს რომ ვერ ახორციელებდა, ეს პირდაპირ ბაქრაძის ბრალია. აკაკი ბობოხიძის და გოკა გაბაშვილის გაკეთებული საქმე ბუნებაში არ არსებობს, იგივე შეიძლება ითქვას ირმა ნადირაშვილზე.

ამ გუნდში გამონაკლისს მიშა მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი წარმოადგენენ. მათ ისეთი საარჩევნო კოდექსი შექმნეს, რომ ამომრჩეველთა 40%-იანი მხარდაჭერით პარტიამ პარლამენტში შეიძლება მანდატების 80% მოიპოვოს.

***– „გირჩებთან“ თანამშრომლობაზე რას იტყვით?***

– ესეც წარმოუდგენელია. მართალია მათი იდეების დიდ ნაწილს ვეთანხმები, მაგრამ „გირჩთან“ გაერთიანების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. პოლიტიკაში იმის თქმა, რომ ეს არასდროს არ მოხდება, კარგ ტონად არ ითვლება, მაგრამ „გირჩთან“ თანამშრომლობა არ გამოვა.

***– ნაციონალებთანაც გამორიცხულია კოალიციის შექმნა?***

– გამორიცხულია. ასევე წარმოუდგენლად მიმაჩნია, როგორ უნდა ითანამშრომლონ ნაციონალებმა და ბოკერიას ფრთამ.

***– გავარკვიეთ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა არ გსურთ. სხვა ძალებთან თუ აპირებთ თანამშრომლობას? რამდენიმე თვის წინ თქვენი პარტია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც პროდასავლურად განწყობილ პარტიებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა.***

– ჩვენ ახლაც ვთვლით, რომ კარგი იქნება თუ პროდასავლური ძალების გაერთიანება მოხდება. ამ ეტაპზე ჩვენ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ, რადგანაც ძალიან ბევრი საქმე გვაქვს.

***– რა საქმეები?***

– ჩვენმა გუნდმა უკრაინაში 20-ზე მეტი იუსტიციის სახლი უნდა ააშენოს. უკრაინაში ჩვენ სასამართლო და საგადასახადო რეფორმაზეც ვმუშაობთ. ჩვენი გუნდი მოლდოვაშიც აქტიურად მუშაობს. ჩვენი ლიდერი, ინოვატორული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ვაშაძე 2 კვირა იმყოფებოდა ამერიკაში, სადაც ჩიკაგოს მერიასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. ვაშინგტონში ვაპირებთ ოფისის გახსნას.

ჩვენ საკმაოდ სერიოზული გუნდი გვყავს, რომელსაც საქმის კეთება შეუძლია. თუ ხალხი ამას დაინახავს და აგვირჩევს, მზად ვართ ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და პროდასავლურ ძალებთან ვითანამშრომლოთ. მინდა პროდასავლურობასთან დაკავშირებით ერთი განმარტება გავაკეთო, პროდასავლურობა ეს იგივე პროქართულობაა, რადგანაც საქართველოს განვითარება დასავლურ ღირებულებებს უკავშირდება.

ძალიან გაგვიჭირდება იმ ხალხთან თანამშრომლობა, რომლებიც გამუდმებით იმას გაიძახიან, რომ ქართველობას გვართმევენ. ამ ძახილით ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. იმის ძახილი, რომ მიწის გაყიდვა არ შეიძლება, პოპულიზმია და მეტი არაფერი.

***– პოპულიზმი რატომ არის?***

– იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. პირველ ეტაპზე გლეხს უნდა დაუკანონდეს ის მიწა, რომელიც მის მამა-პაპას ეკუთვნოდა. გლეხს ასევე საკუთრებაში უნდა გადავცეთ ის მიწები, რომლებსაც ის ამუშავებს. საუბარია სასოფლო-სამეურნეო მიწების 60-70%-ზე. სახელმწიფოს სულ დარჩება 15-20%, აქედან უცხოელებს სულ რაღაც 1% აქვთ ათვისებული. უცხოელებზე მიწის გასხვისებასთან ისეთი ამბავია ატეხილი, რომ კაცი იფიქრებს, ინვესტორები შემოგვესივნენ და მიწებს ყიდულობენ.

უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვა ნიშნავს იმას, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწებს კოლექტიური მაკრახიძეები დაეუფლებიან. მაკრახიძე გორის მაჟორიტარი დეპუტატია „ქართული ოცნებიდან“. ამ ადამიანს დეკლარაციაში უწერია, რომ 300.000 კვ.მ. მიწა აქვს საკუთრებაში. მათი სახით მივიღეთ ე.წ. მინიგარქები, მათ ფაქტიურად იყიდეს საქართველო. ასეთი ხალხი ბევრია პარლამენტში.

ამ თემაზე დებატებისას აღმოვაჩინე, რომ ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძე დიდი სიამოვნებით ადის ბაზალეთის ტბაზე. ეს ადგილი ებრაელებმა შეიძინეს და შესანიშნავი დასასვენებელი კომპლექსი ააშენეს. ლორთქიფანიძის იდეა რომ გასულიყო, ებრაელები ვერასოდეს ვერ ააშენებდნენ ამ კომპლექსს, სადაც დღეისთვის 400 ადამიანია დასაქმებული.

აქედან გამომდინარე არ მესმის, რატომ უნდა ჩავხერგოთ ინვესტიციები. ჩვენ არავისთვის ქართველობის წართმევას არ ვაპირებთ, უბრალოდ გვინდა, ძლიერი გლეხი და ძლიერი სოფელი. თუ ეს არავის არ უნდა, მაშინ ვიძახოთ, რომ მიწები მხოლოდ ჩვენია და ამოვწყდეთ მშივრები.

***– მიწის გაყიდვის თემიდან თბილისის მერის არჩევნებზე გადავიდეთ. ცოტა ხნის წინ თქვენ გამოაქვეყნეთ მერობის სავარაუდო კანდიდატების სია, სადაც გიორგი ვაშაძის გვარიცაა ნახსენები. ის იქნება „ახალი საქართველოს“ მერობის კანდიდატი თბილისში?***



– პირდაპირ გეტყვით, ამ საკითხზე ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ, მათ შორის გიორგისთანაც. ჯერ გადაწყვეტილი არაფერი არ არის და ვერ გეტყვით, მიიღებს თუ არა ის მერის არჩევნებში მონაწილეობას. რაც შეეხება თავად ჩამონათვალს, ეს იყო მხოლოდ ჩემი ვარაუდი.

***– ჩამონათვალში ნარმანიას გვარიც იყო. თქვენი აზრით, გაბედავს „ოცნება“ მეორედ მისი კანდიდატურის დაყენებას?***

– ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ შესაძლოა ივანიშვილი გაკადნიერდეს და ნარმანიას კანდიდატურა მეორედ წარმოადგინოს.

ხელისუფლების კადნიერებას კი საზღვარი მართლა არა აქვს და ამის დასამტკიცებლად ის მაგალითიც კმარა, რომელსაც ახლა მოვყვები. გასული წლის 10 დეკემბერს აქციზების ზრდასთან დაკავშირებით გაიმართა აქცია, სადაც რამდენიმე ასეულმა მანქანამ მიიღო მონაწილეობა. საპროტესტო მსვლელობა დაიწყო დილმიდან და პარლამენტთან დასრულდა.

ამ მსვლელობას საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი აკვირდებოდა. მძღოლები პოლიციის მითითებებს ასრულებდნენ და კანონი არ დაურღვევიათ. ამ აქციიდან 40 დღის შემდეგ აქციის 3 მონაწილეს მართვის მოწმობა ჩამოართვეს. მათ შორის ერთ-ერთი „ახალი საქართველოს“ წევრი ვახო ხარაზიშვილია. ჩვენი აზრით, ეს 3 ადამიანი აქტიურობის გამო შეარჩიეს.

***– მართვის მოწმობები რატომ ჩამოართვეს?***

– მიზეზად ის დაასახელეს, რომ თურმე ჯგუფურად, ორგანიზებულად მოძრაობდნენ. მკითხველისთვის რომ უფრო გასაგები იყოს, ავხსნი რას ნიშნავს ჯგუფურად მოძრაობა. ადამიანები ორგანიზებულად, ჯგუფურად მოძრაობენ ქორწილებსა და გასვენებებში. ასევე ჯგუფურად და ორგანიზებულად მოძრაობენ ადამიანები მაშინ, როცა წინასაარჩევნო კამპანია ტარდება.

ხელისუფლება ერთი მხრივ ამბობს, რომ ეს დასჯადი არ არის და მეორე მხრივ, ამის გამო 3 ადამიანს წაართვეს მართვის მოწმობა. რაღაც არ მახსენდება, რომ ასე ჯგუფურად მოძრაობის გამო წინასაარჩევნოდ ვინმე დაესაჯათ.

აქ მოხდა ასეთი რამე – ხელისუფლებამ ამ ახალგაზრდებს პროტესტის გამოხატვა არ აპატია. არადა კანონით პროტესტის გამოხატვის უფლება ყველას აქვს. ამ ბიჭების დასჯით ხელისუფლებამ ყველას მისცა ნიშანი, რომ ვინც „ოცნების“ მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს, დაისჯება. ხელისუფლება გადაიქცა გიგა ბოკერიად და მათ შორის არანაირი განსხვავება აღარ არის



# საქართველოს ეუთოს თავმჯდომარე ეწვევა

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ავსტრიის რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი სებასტიან კურცი ეწვევა.

ვიზიტი მიმდინარე წლის 2-3 თებერვალს შედგება, რომლის ფარგლებში კურცი შეხვედრებს საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან გამართავს.

შეხვედრებისას მხარეები საქართველო-ეუთოს თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ, მათ შორის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პროცესში ეუთოს როლს და მისი ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობებს. ასევე ავსტრიასა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრებენ.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი კურცი ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრას დაესწრება და ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებას შავშვებში ეწვევა.

კურცის ვიზიტი ეუთოს თავმჯდომარეობის დასაწყისში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო ორგანიზაციის პოლიტიკურ დღის წესრიგში რჩება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება ავსტრიის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რომან გოცირიძე: „გაზპრომთან ხელშეკრულება საქართველოსთვის საზიანოა“

ნონა ცაბაძე

გაზპრომთან დადებული ხელშეკრულება აქტუალობას არ კარგავს. ნაციონალური მოძრაობა საპროტესტო აქციებს მართავს და ხელშეკრულების გასაჯაროებას ითხოვს, თუნდაც იმ ნაწილის, სადაც მითითებულია, რა რაოდენობის თანხას უხდის გაზპრომი საქართველოს. „ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი რომან გოცირიძე პასუხობს.

***– ბატონო რომან, ხელისუფლება აცხადებს, რომ თემა პოლიტიზირებულია. ცალ მხარეს არ აქვს უფლება, ხელშეკრულება გაასაჯაროოს. ოპოზიცია კი ხელშეკრულების გასაჯაროებას აქტიურად ითხოვს. როგორია თქვენი პოზიცია, წამგებიანი ხელშეკრულება დაიდო გაზპრომთან?***

– ხელშეკრულება არის არათუ წამგებიანი, არამედ სერიოზულად საზიანო ქვეყნის ინტერესებისთვის.

***– რა თვალსაზრისითაა საზიანო?***

– როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური. პოლიტიკური კონტექსტი მარტივია და ამაზე აღარ შევჩერდები. რაც შეეხება ეკონომიკურს, ფაქტობრივად, ამ ხელშეკრულების შემდეგ, საქართველოს არ რჩება არავითარი უფლება, რომ მან შეისყიდოს გაზი. თუ წელიწადში ჩვენ გვრჩებოდა სულ მცირე, 40 მილიონის ღირებულების გაზი, ახლა, ამ ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ გვიხდიან მხოლოდ ტრანზიტის საფასურს, რომლითაც დაიფარება მხოლოდ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ხარჯები და შეიძლება მცირეოდენი თანხა გადარჩეს.

***– ჩვენ არ ვიცით, რა თანხაზეა საუბარი. იქნებ არც ისე მცირეა, როგორც ოპოზიციას ჰგონია?***

– თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გაზის ტრანსპორტირების კომპანია მართავს მთელ ქსელს ქვეყნისას, დაახლოებით 1.500 კილომეტრის სიგრძისას და არის ძალიან არაეფექტური კომპანია, აქვს უამრავი ხარჯები, გაბერილი შტატები და ასე შემდეგ, რუსული მხარის მიერ ანაზღაურებული თანხები, ფაქტობრივად, მოხმარდება სომხეთამდე გაზის ტრანზიტს.



საუბარი იმის თაობაზე, რომ თუ საქართველოს დასჭირდა გაზი და მას იყიდის, კი ბატონო, შესაძლოა, რუსეთმა მოგვყიდოს 185 დოლარად, მაგრამ ამისთვის სულ სხვა ფული უნდა გამოინახოს, მაშინ, როდესაც ჩვენ გვრჩებოდა უზარმაზარი შემოსავალი.

***– კალაძე აცხადებს, რომ სხვა გზა არ ჰქონდა ქართულ მხარეს, ან უნდა დათანხმებოდა პირობებს, ან დარჩენილიყო საერთოდ ხელცარიელი. ამაზე რას იტყვით?***

– კონტრაქტს რაც შეეხება, ჩვენ ვკარნახობდით ყველა პირობას, ჩვენზე იყო დამოკიდებული ამ კონტრაქტის შინაარსი. დემაგოგიურად აცხადებს ენერგეტიკის სამინისტრო, რომ თითქოს სხვა გამოსავალი არ იყო და თუ არ დავთანხმდებოდით, სომხეთს გაზს მიაწვდიდნენ ირანიდან.




***– არ იზიარებთ ამ ვერსიას?***

– არა, ეს აბსოლუტური დემაგოგიაა. რუსეთი ტრანზიტიდან ჩვენ გვიტოვებს 200 მილიონ კუბურ მეტრ გაზს. 200 მილიონი კუბური მეტრი არის გაზპრომის დანაკარგები, რომელიც სისტემაში ორთქლდება. 200 მილიონი კუბური მეტრი გაზისთვის რუსეთი ორჯერ უფრო ძვირადღირებულ გაზს არ იყიდდა ირანიდან. ის სომხეთს აწვდის საკუთარ გაზს, ამ შემთხვევაში ის ყიდის გაზს, სომხეთისთვის იაფად, მაგრამ სომხეთში ყველა ენერგეტიკული ობიექტი არის რუსეთის საკუთრება. ეს არის რუსეთის ბიზნესი სომხეთის ტერიტორიაზე.

ირანიდან რომ კომერციული გაზი შემოიტანოს, მაშინ გაკოტრდება სომხეთის გაზის სისტემა, რომელიც რუსეთს ეკუთვნის. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ რუსეთი თვალს დახუჭავს ეკონომიკურ ზარალზე, მოსახლეობის მოტყუებაა. რუსეთს სხვა გამოსავალი არ აქვს. რუსეთს სჭირდებოდა ჩვენი ტერიტორია. დღეს კი რა გამოდის? ჩვენ ვმუშაობთ რუსეთისთვის და სომხეთისთვის, რომ როგორმე სომხეთამდე გაზი მივიტანოთ.

***– მაშინ რა ინტერესი ამოძრავებდა ქართულ მხარეს, რატომ წავიდა წამგებიან ხელშეკრულებაზე?***

– უსუსურები და უუნაროები არიან და იმიტომ. დავუშვათ, მათ გააფორმეს ცუდი კონტრაქტი, მაგრამ კონტრაქტი კონფიდენციალური იქნებოდა თუ არ იქნებოდა, ესეც ხომ ჩვენს მხარეზეა დამოკიდებული?! იმასაც ვერ მიაღწიეს, რომ კონტრაქტი არ ყოფილიყო გასაიდუმლოებული! მაგრამ აწყობდა საქართველოს მთავრობას ეს.

კონტრაქტი ვერ იქნება გასაიდუმლოებული, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ როგორც კი ჩვენ ფულს ჩაგვირიცხავს გაზპრომი, გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში და ეს კომპანია არის კერძო სამართლის სუბიექტი, მას მოუწევს ბალანსების გამოქვეყნება საგადასახადოსთან და ელემენტარულად ყველა გაიგებს, რამდენი გადაგვიხადეს ფული.

***– მაშინ რა უშლით ხელს, რატომ არ საუბრობენ ფინანსურ მხარეზე?***

– მათი მთავარი მიზანია, როგორმე ახლა გადააგორონ ეს თემა, მაგრამ გპირდებით, ვერაფერსაც ვერ გადააგორებენ! ჩვენ არ ვითხოვთ კონტრაქტის გასაჯაროებას, გვითხრან ის, თუ რა რაოდენობის ფულს გვიხდიან! ეს ხომ არ არის საიდუმლო?!

***– რა ბერკეტი აქვს ამ შემთხვევაში რუსულ მხარეს, როდესაც პოლიტიკურ მოტივზე საუბრობთ?***

– რუსეთი უკვე 4 წელიწადია, ნელ-ნელა, მცოცავი რეჟიმით მოდის საქართველოში. ჯერ ბაზარი გაგვიხსნა. ახლა, თუ დასჭირდება, გვეტყვის, რომ ბაზარს დაგიკეტავთ და ღვინოს არ შევუშვებთო. ჩვენ ელექტროენერგიას იქით ვყიდდით და დღეს იძულებულები ვართ, რუსეთისგან ვიყიდოთ, რადგან ვერ შეძლო ხელისუფლებამ ამ სისტემის განვითარება. რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია გვითხრას, რომ არ გვაძლევს ელექტროენერგიას.

ასევე არის პოლიტიკური ზეწოლის სხვადასხვა ფორმები. მთავრობის ნებართვით ბევრი ისეთი ობიექტი ჩაუვარდა რუსეთს ხელში, რომელიც აკრძალული იყო.

***– მაგალითად?***

– თუნდაც როსნეფტმა იყიდა ტერმინალი ფოთში. ეს პოლიტიკური მოტივები. არ გამოვრიცხავ ეკონომიკურ მოტივებსაც, რომ ვიღაცები დაინტერესებული არიან ამ კონტრაქტით და რუსეთთან აქვთ საერთო ბიზნესინტერესები.

სხვა საკითხია საქართველოს ხელისუფლების არაკომპეტენტურობა. მუდმივი ხელისუფლება არ არსებობს, თვალს თუ გადავავლებთ ისტორიას, ძალიან მძიმედ ვითარდებოდა ხელისუფალთა ბედი. არც ეს ხელისუფლებაა მუდმივი და შეიცვლება და ამ კონტრაქტის საკითხი იქნება სერიოზულად გამოძიებული და იქნება დადგენილი, იყო თუ არა აქ მხოლოდ არაკომპეტენტურობა და უვიცობა, თუ იყო კერძო ინტერესებიც!

# რა იქნება რუსეთის შემდეგი ნაბიჯი საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება შეშფოთებულია იმით, რომ 2008 წლის ომის მონაწილე ქართველი ოფიცრების მონაცემები რუსეთის ხელში მოხვდა. ეს გარემოება დაემთხვა გაზპრომთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის დეტალები უცნობია. ეს ხელშეკრულება რუსეთის გამარჯვებად შეაფასა რუსულმა პრესამ, რომლის აზრით, მიღწეული შეთანხმება არა მარტო ეკონომიკური მოგებაა, არამედ საქართველოს ბაზარზე დაბრუნება.

ქართველი სამხედროების მიმართ რუსეთის პრეტენზიები ახალი არ არის. სიახლეა მათი მონაცემების რუსეთის ხელში მოხვედრა და ამ პირების ძებნა.

რუსეთის პრეტენზიებს 2008 წლის მოვლენების საკითხში არ იზიარებენ თბილისი და საერთაშორისო საზოგადოება.

2016 წლის თებერვალში რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა ცხინვალის რეგიონში ჩატარებული გამოძიების შედეგად ჩამოაყალიბა ბრალდებები თბილისის მიმართ. ამ საქმის მასალები 500 ტომს მოიცავს. რუსეთის მიერ წამოყენებული ბრალდების თანახმად, საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მოქმედებები მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ოსების განზრახ განადგურებას.



**რუსეთის მიმართ დამთმობი პოლიტიკა არ ნიშნავს რუსეთის ბაზრის გახსნას**

რუსეთის მტკიცებით, 2008 წლის 8-დან 10 აგვისტომდე ცხინვალი და რამდენიმე სოფელი ქართული არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოექცა, მოგვიანებით იქ ავიაციაც გამოიყენეს. რუსეთის მონაცემების თანახმად, ამ შეტევებს 162 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, ბევრმა ზარალი განიცადა, 16 ათასი კი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი.

რუსეთმა პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 2008 წლის მოვლენებს უწოდებს კონფლიქტს რუსეთსა და საქართველოს შორის. ოკუპანტი ქვეყანა აპელირებს იმით, რომ ცხინვალის კონფლიქტი 1990-იანი წლებიდან მომდინარეობს.

მიმდინარე მოვლენების ფონზე ჩნდება კითხვები – რა იქნება რუსეთის შემდეგი ნაბიჯი? რას დათმობს საქართველოს ხელისუფლება?

რუსეთის იდეოლოგებმა უკვე გამოიჩინეს ინტერესი საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების, მათ შორის, არჩევნების პროცედურის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში უფუნქციოა.

რუსეთმა მიაღწია იმას, რომ მოლდოვაში აირჩიეს რუსეთის ინტერესების გამტარებელი იგორ დოდონი. ახლა კი ირკვევა, რომ აქამდე დოდონმა ვერც რუსეთის ინტერესი განახორციელა და ვერც რუსეთის ბაზარი გაუხსნა მოლდავურ პროდუქციას, რის პირობასაც წინასაარჩევნოდ იძლეოდა.

მოლდაველი ექსპერტები ასკვნიან, რომ რუსეთის მიმართ დამთმობი პოლიტიკა არ ნიშნავს რუსეთის ბაზრის გახსნას. მათი შეფასებით, უშედეგო იყო დოდონის შეხვედრა პუტინთან. პუტინისთვის რუსეთის ერთგული პრეზიდენტი საჭიროა იმისთვის, რომ რუსეთი ჩაერთოს ევროკავშირთან სრულუფლებიან მოლაპარაკებებში ამა თუ იმ ქვეყანასთან ერთად, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის.

ბოლო წლებში დღის წესრიგიდან არ იხსნება საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედების თემა.

ეს რკინიგზა ოჩამჩირემდე რუსეთის სამხედროებმა უკვე გაარემონტეს. სოხუმამდე მოძრაობა დიდი ხნის წინ აღდგა. ქართული მხარისთვის ამ რკინიგზის სრულად გახსნა კაპიტულაციის ტოლფასია. რუსეთმა ამ საკითხში აქამდე ვერ მიაღწია საქართველოს თანხმობას.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთის შემდეგი მოქმედება ამ რკინიგზის გახსნა იყოს, რასაც არ შეეწინააღმდეგება თბილისი.

კიდევ ერთი თემა, რომელიც დიდი ხანია იხილება, კონფედერაციაა. რუსეთის ერთ-ერთი გეგმით, ოკუპირებული ტერიტორიები თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან ერთად უნდა შევიდნენ ერთიან კონფედერაციაში. „ქრონიკა+“-ის ინფორმაციით, ეს საკითხი მას შემდეგ დადგება დღის წესრიგში, რაც კონსტიტუცია გადაისინჯება.

# „პრობლემაა, რომ ჩვენ გვაქვს გრძელვადიანი ვალდებულება დოლარში“

აქსისის გენერალური დირექტორი გიორგი კაპანაძე ლარში ფასდადების ვალდებულებასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს „ბიზნესკონტრაქტთან“ აკეთებს.

რეკლამის შესახებ კანონში შესული ცვლილებებით 1 ივლისიდან ბიზნესს ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ფასის გამოქვეყნების ვალდებულება ექნება ლარში.

როგორც გიორგი კაპანაძე აცხადებს, მათთვის პრობლემაა გრძელვადიანი საბანკო ვალდებულებები დოლარში, ამიტომ ლარიზაციის გეგმის ეფექტისთვის საჭიროა დამატებითი ნაბიჯები გადაიდგას.



– რეკლამის დროს მოგვიწევს ლარში ფასის გაჟღერება. მთავარი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ გვაქვს გრძელვადიანი ვალდებულება დოლარში და თუ იმის საშუალება გვექნება, თანდათან გადავერთოთ და დაფინანსებებიც ლარში მივიღოთ ბანკისგან, ეს იქნებოდა რეალური ნაბიჯები ლარიზაციისკენ.

ძირეულ ცვლილებებს ალბათ ეს ვერ გამოიწვევს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც კარგია. მომხმარებელიც და მიმწოდებელიც მიეჩვევა ლარში აზროვნებას. ამან მყისიერად შეიძლება არ გამოიწვიოს განსაკუთრებული ცვლილებები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამას მივესალმები.

უნდა გაგრძელდეს ეს ნაბიჯები. დამატებითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას და მოგვეცეს საშუალება, ლარში ავიღოთ კრედიტები მშენებლობის დასაფინანსებლად და ა.შ. – აცხადებს აქსისის გენერალური დირექტორი.

**ელენე გოგბერაშვილი, ბიზნესკონტრაქტი**

# „რუსეთისა და თურქეთის არმიები ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე შეეჯახებიან“

## რას წერს რუსული მედია

**რუსეთის პოპულარულ ინტერნეტ-გამოცემა „ინოსმი.რუ“-ს (უცხოური პრეს-დაიჯესტის) ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა რუსეთ-თურქეთის სავარაუდო, ჰიპოთეტური ომის მოდელირებული ვიდეოქრონიკა, რომელშიც საქართველოს შესახებაც არის საუბარი.**

**მასალაში ყურადღება ეთმობა თურქეთისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების დაპირისპირებას საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ოპერაციებში (გარეშე ძალების დახმარების გარეშე).**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს მცირეოდენი შემოკლებით.**

◆ ◆ ◆

რადგანაც ორ სახელმწიფოს ერთმანეთთან საერთო საზღვარი არ აქვს, რუსეთის არმია [1877-78 წლების ომისაგან განსხვავებით] დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან თურქეთში ვერ შეიჭრება: მას წინ დამოუკიდებელი სახელმწიფოები – უკრაინა, მოლდოვა, რუმინეთი და ბულგარეთი ეღობება, ანუ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მოთამაშე. შესაბამისად, რჩება მხოლოდ კავკასიის მიმართულება, სადაც სუსტი სახელმწიფოები მდებარეობენ.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, თურქეთის ფლოტთან შედარებით, სუსტია. რა თქმა უნდა, შეიძლება მოსკოვმა ბალტიის, ჩრდილოეთის და წყნარი ოკეანის ფლოტების ხომალდები გადმოისროლოს, მაგრამ რადგან ისინი შავ ზღვაში ვერ შემოვლენ (თურქეთი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს ჩაკეტავს), მათ ხმელთაშუა ზღვაში, თურქეთის სამხრეთ ნაპირებთან მოუწევთ მოქმედება.

შესაბამისად, ისინი მოშორებულნი იქნებიან რუსეთს და ჰაერიდანაც საკმაო დახმარებას ვერ მიიღებენ. ალბათ, თურქეთის ავიაცია და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა რუსულ ავიაციას ხელს შეუშლის.

რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარები მსოფლიოში თითქმის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანია. თუ რუსეთი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით სრულად ისარგებლებს, თეორიულად, მოსკოვს შეუძლია ერთდროულად ჰაერიდან თურქეთში ორი ბრიგადა გადასხას, ანუ ორიოდე დღეში თითქმის მთელი არმია.

თურქეთს გაუჭირდება ასეთი დიდი ძალისადმი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ, თავის მხრივ, რუსეთიც პრობლემის წინაშე დადგება – როგორ უნდა მომარაგდეს ასეთი მრავალრიცხოვანი დესანტი? შესაბამისად, საჰაერო დესანტი ფრონტის ხაზთან ახლოს უნდა იქნეს გადასხმული, რათა მან სწრაფად მოახერხოს ძირითად სახმელეთო ძალებთან შეერთება, ანუ დესანტის ეფექტი და მიზანშეწონილება მცირდება.

შეუძლია თუ არა თურქეთს საზღვაო დესანტის გადასხმა რუსეთის ნაპირებთან, ვთქვათ, ყირიმ-ნოვოროსიისკთან?

თურქეთის ფლოტი აბსოლუტურად მოუმზადებელია მშობლიური ნაპირებიდან შორ მანძილზე საბრძოლველად. თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ჭარბ საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებს, აგრეთვე სახმელეთო ჯარების მრავალრიცხოვან ნაწილებს, რომლებიც ყირიმისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (ტამანი-ნოვოროსიისკი-ტუაფსე-სოჭი) ნაპირებს, მაშინ საზღვაო დესანტის ორგანიზება უაზრობაა.

სავარაუდოდ, თურქები რუსეთის ნაპირებს ვერ მიაღწევენ და ისინი შუა ზღვაში იქნებიან განადგურებული. მოკლედ, მსგავსი გეგმა კატასტროფით დამთავრდება, ამიტომ თურქეთი ამგვარ მცდელობებს არ განახორციელებს.

ახლა შევხედოთ, რა მოხდება ხმელეთზე.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რუსეთის სახმელეთო ძალებს თურქეთის ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ კავკასიის მიმართულების გამოყენებით შეუძლიათ. სავარაუდოდ, თურქეთი თავის ჯარებს, შავი ზღვის სანაპირო სატრანსპორტო კომუნიკაციების დახმარებით, საქართველოსკენ სწრაფად გადაისვრის. ცხადია, თავის მხრივ, რუსეთსაც აქვს ანალოგიური შესაძლებლობა, რადგან მოსკოვი აფხაზეთს აკონტროლებს. იქ ხომ რუსეთის სამხედრო ბაზაა დისლოცირებული. ასევეა სამხრეთ ოსეთშიც. ორივე სახელმწიფოს არმია ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე შეეჯახება.

რუსეთს უფრო მეტი სახმელეთო ძალები ჰყავს, ვიდრე თურქეთს. მართალია, ანკარას აქვს ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი რეზერვი, პერიოდულად მიმდინარეობს საარმიო რეზერვების გადამზადება, მაგრამ რუსეთს მეტი გასამხედროებული ქვედანაყოფი ჰყავს. რუსეთის პროფესიულ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა ორჯერ აჭარბებს თურქეთისას. ორივე მხარეს აქვს სხვადასხვა მძიმე შეიარაღება – როგორც თანამედროვე, ასევე მოძველებულიც. ამასთან, რუსებს მძიმე ტექნიკა უფრო მეტი აქვთ და მათი ტანკები დღეს შედარებით უფრო თანამედროვეა. შესაბამისად, თურქულ სატანკო ნაწილებს რუსების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე გადაადგილება ძვირად დაუჯდებათ. იმ შემთხვევაში კი, თუ თურქები დაასწრებენ რუსებს და საქართველოს დაბლობ ნაწილს როგორღაც დაიკავებენ, ისინი კავკასიის ქედის გადალახვას მაინც ვერ შეძლებენ, ეს დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული.

რუსეთის არმია ამჟამად მზად არ არის მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დიდი ხნით ყოფნისთვის, მაგრამ ამ მხრივ თურქეთის არმია უფრო სუსტია. რუსეთს მეტი სატრანსპორტო ვერტმფრენი ჰყავს, რაც მის მანევრირებას ზრდის. რუსეთი სამხედრო სიტუაციას უკეთესად გააკონტროლებს, რადგან მოსკოვს უფრო მეტი სადაზვერვო ტექნიკა აქვს – კოსმოსური, საჰაერო და სახმელეთო.





კიდევ ერთი რუსული უპირატესობა სახმელეთო ჯარების საჰაერო დახმარებით უპირატესობაში გამოიხატება. რუსეთს თანამედროვე უახლესი სარაკეტო კომპლექსების მეშვეობით შეუძლია თურქეთის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მწყობრიდან გამოყვანა.

თურქეთისათვის ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იქნება, ჩაეჭიდოს მხოლოდ მცირე კავკასიას. მისი დაცვა უფრო იოლი იქნება. ამასთან, ანკარას ექნება შესაძლებლობა, კონტრდარტყმა მოამზადოს დიდ მანძილზე გაჭიმული რუსული ფრონტის წინააღმდეგ.

მართალია, კონტრშეტევა რთული საქმეა: შემტევ მხარეს თითქმის ყველაფერში უპირატესობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ თურქებს შეუძლიათ გამოიყენონ რუსული არმიის ნაკლოვანებები, განსაკუთრებით ის, რომ მრავალრიცხოვანი და ჭარბი რუსული ავიაცია ზუსტი ავიადარტყმების მიყენებაში მოისუსტებს. რუსებს მეტი მძიმე ტექნიკა აქვთ, მაგრამ ადგილობრივი მთიანი ლანდშაფტის გათვალისწინებით, მათი მობილურობა ნაკლები იქნება.

რუსები თურქების საზიანოდ შეეცდებიან, სამხედრო მოქმედებების ზონა გააფართოონ და თურქები სომხეთში შეუშვან. ალბათ, რუსი გენერლები იფიქრებენ, როცა ფრონტის ხაზი „გაწელილია“, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევა უფრო ადვილია, მაგრამ თურქებს საკმაო ძალები აქვთ, რომ ზურგი გაიმაგრონ.

თურქების თავდაცვის ხაზის სწრაფი გარღვევის მცდელობა რუსებს ძალიან ძვირი დაუჯდებათ. აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევაში მოსკოვი დაბომბვებს განახორციელებს როგორც არტილერიით, ასევე ჰაერიდან.

არაა გამორიცხული, რომ რუსების შეტევა გაჭიანურდეს: ვთქვათ და რუსეთის არმიამ შეძლო თურქეთის საზღვრების გადალახვა. საკუთარ ტერიტორიაზე თურქები ყოველი მეტრი მიწისთვის თავგანწირულად იბრძოლებენ, მთიან გზებზე რუსეთის მძიმე ტექნიკისთვის ბარიერებს მოაწყობენ, ხშირი იქნება ჩასაფრებები, მოულოდნელი თავდასხმები რუსებისთვის მტრულ ტერიტორიაზე. მოსკოვის ძალები გამოფიტვის საფრთხის წინაშე დადგებიან.

ომის პირველი წელი არც რუსეთისთვის იქნება იოლი და არც – თურქეთისთვის. რუსეთი დაიკავებს თურქეთის ტერიტორიის ნაწილს, მაგრამ განა ღირს ამდენი დანაკარგის ფასად?

უფრო ხანგრძლივ ომში რუსეთი არ იჩქარებს და სამხედრო მოქმედებებს გააჭიანურებს. მოსკოვი დაელოდება იმ მომენტს, სანამ თამაშში მისი უპირატესობის ფაქტორი არ ჩაერთვება – მოსახლეობის დიდი რესურსი და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. გაჭიანურებულ ომში თურქეთის მთავარი პრობლემა იარაღის იმპორტი იქნება, რადგან მისი მრეწველობა არმიას იარაღით ვერ უზრუნველყოფს.

ომის მეორე წელს თურქეთის არმია ცუდად შეიარაღებულ სამხედრო ძალად გადაიქცევა, თუმცა მას ცოცხალი ძალა საკმაოდ ბევრი ეყოლება. თავის მხრივ, რუსეთი ისარგებლებს რიგი ზემოთხსენებული უპირატესობით: მისი მოსახლეობა უფრო მეტია, მას აქვს ძველი საბჭოური ტექნიკისა და შეიარაღების დიდი რეზერვები. საჭიროების შემთხვევაში, ჩამოწერილი ტექნიკის გამოყენებაც შეიძლება.

თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში წინსვლისას, თურქული არმიის დასუსტების კვალობაზე, სავარაუდოდ, რუსების დანაკარგებიც შემცირდება, მაგრამ მაინც იმაზე დიდი იქნება, ვიდრე მას ოდესმე განუცდია თანამედროვე კონფლიქტებში.

ალბათ, კიდევ ერთი წელი გავა, სანამ რუსეთი ხელში ჩაგდებულ ტერიტორიებზე დამაგრდება და ომში თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს. ყველა შემთხვევაში, თურქეთზე გამარჯვება რუსეთს ძვირად დაუჯდება.

# გიორგი კახიანი: „პრეზიდენტს არბიტრის ფუნქცია უნდა ჰქონდეს“



– არ შეიძლება პრეზიდენტს უფლებამოსილებები არ ჰქონდეს და მისი არჩევის წესი საყოველთაო იყოს. სამწუხაროდ, როდესაც პრეზიდენტის არჩევის წესზე არის მსჯელობა, რატომღაც ყველაფერი დადის პიროვნებებზე, ხშირად ეს აღიქმება, რომ ხელისუფლების მხრიდან არის მცდელობა მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვის, რაც არასწორი მიდგომაა.

ამის შესახებ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია და რატომღაც პრეზიდენტის არჩევის წესი გახდა უფრო რეზონანსული.

– მე იმ კომისიის სამუშაო ჯგუფის წევრი არ ვარ, რომელიც ამ საკითხზე მსჯელობს, მაგრამ სწორი იქნება ის, რომ პირველ რიგში სამუშაო ჯგუფმა იმსჯელოს იმაზე, თუ რა სტატუსის, რა უფლებამოსილების მქონე უნდა იყოს პრეზიდენტი. როდესაც ამ საკითხზე იქნება კონსენსუსი, ამის შემდეგ შეიძლება იმაზე საუბარი, ასეთი უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტს როგორი ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეს, – განაცხადა გიორგი კახიანმა.

მისი თქმით, პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს აქვს ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია, ეს ლეგიტიმაცია უფრო ნაკლებია, როდესაც არაპირდაპირი წესით ხდება მისი არჩევა, მაგრამ მთლიანობაში ეს უნდა იყოს რელევანტური იმ უფლებამოსილებების, რაც პრეზიდენტს გააჩნია.

– ჩემი გადმოსახედიდან, პრეზიდენტი უნდა იყოს ის ინსტიტუცია, რომელსაც უნდა ჰქონდეს არბიტრის ფუნქცია. პრეზიდენტი, ბუნებრივია, ყოველთვის რაღაც პოლიტიკის შემადგენელია, თუმცა მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა იყოს პოლიტიკური კრიზისების არსებობის შემთხვევაში ვითარების გამანეიტრალებელი ინსტიტუცია. სამწუხაროდ, ამ საკითხზე როდესაც არის მსჯელობა, რატომღაც ყველაფერი დადის პიროვნებებზე, – აღნიშნა ბ-მა კახიანმა.

მისი აზრით, ინსტიტუციებზე უნდა ვისაუბროთ და არა – პიროვნებებზე.

– პიროვნებები უნდა ერგებოდნენ ინსტიტუციებს და არა პირიქით, – განაცხადა დეპუტატმა.

მისივე განმარტებით, რომც შეიცვალოს პრეზიდენტის არჩევის წესი, ეს მოქმედ პრეზიდენტს არ შეეხება.

– თეორიულად ვამბობ, ისეც რომ მოხდეს, რომ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევნებზე გადავიდეთ, ეს არ შეეხება მოქმედ პრეზიდენტს. მას მოქმედი უფლებამოსილების ვადა ჩვეულებრივად ამოეწურება. ვინც ცდილობს, ასეთი ცვლილებები დაუკავშიროს კონკრეტულ პიროვნებას, ის ცდილობს ფაქტების დამახინჯებას, – აღნიშნა გიორგი კახიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „ბავშვთა სამყაროს“ ხელში ჩაგდებას და 10-მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას აპირებდნენ“




სს „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთი აქციონერი თენგიზ ლოლაძე აცხადებს, რომ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერაბ ასათიანი და მისი სიძე, „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი გიორგი მაჭავარიანი აქციონერების გაშვებითა და სააქციო საზოგადოების ხელში ჩაგდებით იყვნენ დაინტერესებული.

როგორც თენგიზ ლოლაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათ უკან იდგა მსხვილი აქციონერი დიმიტრი აბდუშელიშვილი, რომლის მიერ შეძენილი წილი ოფშორულ ზონაში გაფორმდა.

ლოლაძე აცხადებს, რომ სამეთვალყურეო საბჭო ფიქტიური იყო, რადგან სიმამრი სიძეს არ შეამოწმებდა.

– დაინტერესებული იყვნენ აქციონერების გაშვებით, რომ ხელში ჩაეგდოთ მთლიანად სააქციო საზოგადოება. აპირებდნენ ინვესტიციის შემოტანას და ახალი შენობის აშენებას, რაც შეამცირებდა დანარჩენ აქციონერთა ხვედრით წილს და ასე ჩაიგდებდნენ ხელში „ბავშვთა სამყაროს“, – განაცხადა თენგიზ ლოლაძემ.

მისი თქმით, ისინი ყველანაირი გზით ეცდებოდნენ ამის გაკეთებას.

– ეს ბადებს ეჭვს. მაკეტი წარმოგვიდგინეს, მეორე ტერიტორია უნდა ავაშენო, ინვესტორი ვნახე, 10 მილიონს შემოიტანსო. იცოდა, რომ ჩვენ ჩვენს წილს ვერავინ ველარ ვიყიდდით, ამიტომ, ჩვენი 49% გახდებოდა 0% და ამ თანხაში ჩვენი წილი აღარაფერი იქნებოდა, – აღნიშნა აქციონერმა.

მისი თქმით, მათ უკან იდგა მსხვილი აქციონერი.

– სამეთვალყურეო საბჭო ფიქტიური იყო, რა შემოწმება უნდა გაეკეთებინა სიმამრს სიძის? თავისი მეგობარი მოიყვანეს და ვინც რაღაც კონტროლს ვახორციელებდით, ჩვენ გამოგვყარეს. მსხვილი მეპატრონეა დიმიტრი აბდუშელიშვილი, რომელმაც თავდაპირველად 22.5% შეიძინა, რაც ოფშორულ ზონაში, კვიპროსში გაფორმდა, – განაცხადა თენგიზ ლოლაძემ.

მან ხანძრის გაჩენის მიზეზებზეც ისაუბრა.

– ალბათ რაღაც განზრახვა იყო, რომ დამწვარიყო. ამის მტკიცება, რა თქმა უნდა, ძნელია და ვერავის ხელს ვერ დაადებ, მაგრამ გამოჩნდება, ვის ინტერესში იყო. გამოჩნდებიან ინვესტორები, რაღაც შემოთავაზებებს გაგვიკეთებენ ალბათ, რომ მიწა შეისყიდონ, რაღაც გააკეთონ, გამოჩნდება, ვინ არის დაინტერესებული, – აღნიშნა თენგიზ ლოლაძემ.

**ბიპიენი**

# ვის ეკუთვნის „ბავშვთა სამყარო“?




„ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი, გიორგი მაჭავარიანი „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ სავაჭრო ცენტრის აქციონერთა შესახებ გავრცელებულ სხვადასხვა ინფორმაციას გამოეხმაურა.

მან უარყო „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შემდეგ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ერთ-ერთი აქციონერი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი იყო.

როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, სააქციო საზოგადოებას „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო“, ჯამში 93 აქციონერი ჰყავს, რაც მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც დასტურდება.

სააქციო საზოგადოება „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყარო“-ს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ამონაწერის თანახმად, 93 აქციონერიდან ყველაზე მეტს, აქციათა 41.05%-ს, დიმიტრი აბდუშელიშვილი ფლობს; 5.11% თენგიზ ლოლაძეს, 5.01% მაყვალა ომაძეს და 5.1%-იც თავად გიორგი მაჭავარიანს ეკუთვნის.

რაც შეეხება დანარჩენებს, მათ საკუთრებაში შედარებით მცირე რაოდენობის ფასიანი ქაღალდია.

2017 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, სააქციო საზოგადოება „ბავშვთა სამყაროს“ საწესდებო კაპიტალი 335.280 დოლარს შეადგენდა; 1 ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება კი 60 დოლარი იყო.

სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროსა“ და მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძარი 29 იანვარს ღამით გაჩნდა. შედეგად, „ბავშვთა სამყაროს“ შენობა მთლიანად განადგურებულია.

დამწვარია ათეულობით მოვაჭრის სავაჭრო ინვენტარი და პროდუქცია. გამოწვეული ზარალი ჯერჯერობით უცნობია.

**ბიპიენი**

# „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი: „თუ ჩემი ბრალეულობა იქნება, მზად ვარ, ციხეში ჩავჯდე“



– თუ ჩემი ბრალეულობა იქნება, მზად ვარ, ციხეში ჩავჯდე, – ასე უპასუხა სავაჭრო ცენტრ „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორმა გიორგი მაჭავარიანმა ხანძრის განზრახ გაჩენის თაობაზე აქციონერების ნაწილის მიერ მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს.

როგორც მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, პირიქით, მას აქვს ეჭვი, რომ მოხდა დივერსია, ვინაიდან „ამხელა ტერიტორია ასე მარტივად დაიწვა“.

– თუ ჩემი ბრალეულობა გამოიკვეთება, მზად ვარ, ციხეში ჩავჯდე. გაყიდვას არ ვაპირებდი, პირიქით, 1,5 მილიონი დავხარჯეთ ამ შენობის რემონტისთვის. გამოძიება დაადგენს ყველაფერს, თავს არ ვიმართლებ. ნულზე დავჯექი მთლიანად და ჩემი თავის მტერი ხომ არ ვარ? – ვიყიდე აქციები, 5%-ის მფლობელი ვარ და აქციების ყიდვას ვაგრძელებდი. პირიქით, ეჭვი მაქვს დივერსიის, რადგან ასე მარტივად დაიწვა ამხელა ტერიტორია, – განაცხადა მაჭავარიანმა.

რაც შეეხება გამოთქმულ ბრალდებებს და ეჭვებს, რომ შესაძლოა მომხდარ ხანძართან დაკავშირებით ახალი ოქროს ბირჟის მფლობელების ინტერესები იკვეთებოდეს, მაჭავარიანს ასეთი ეჭვები არ აქვს და აცხადებს, რომ პირიქით, ახალი ოქროს ბირჟის მფლობელებთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ფოთის აეროპორტის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო




სს „ფოთის აეროპორტის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო. გაკოტრების მმართველად აღსრულების ეროვნული ბიურო დაინიშნა. ქუთაისის სასამართლოს განჩინება მიმდინარე წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა.

სს ფოთის აეროპორტი სახელმწიფოს საკუთრებაში გასული წლის ბოლოს გადავიდა, მანამდე კი მისი მფლობელი „რას ალ ხაიმა ინვესტმენტი“ იყო, რომელთანაც „ფოთის აეროპორტის“ 98.26% აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება შეწყდა. სამაგიეროდ „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“ გათავისუფლდება 2011 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

შპს „რას ალ ხაიმა“ „რაკია ჯორჯიას“ მფლობელი კომპანიაა, რომლის მფლობელობაში იყო ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონაც, რომელიც ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა.

ფოთში აეროპორტის აშენებას წინა ხელისუფლება გეგმავდა. 2012 წელს მთავრობამ პროექტი გაუმართლებლად შეაფასა და საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ფოთის ნაცვლად ანაკლიაში დაანონსდა.

ფოთის აეროპორტის მშენებლობა ოფიციალურად 2011 წელს გაიხსნა. ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მაშინ აცხადებდა, რომ აეროპორტი საქართველოში ყველაზე თანამედროვე იქნებოდა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „ავანსის დღგ-თი დაბეგვრა მცირე კომპანიებს პრობლემას შეუქმნის“

– ავანსის დღგ-თი დაბეგვრა მცირე კომპანიებს ფულადი ნაკადების მობილიზების პრობლემას შეუქმნის, – აცხადებს „ნატახტარის“ კორპორატიულ საკითხთა დირექტორი.

ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი დაბეგვრის ახალ სისტემაზე გადასვლით მსხვილი ბიზნესისთვის პრობლემების შექმნას არ ელოდება, თუმცა აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ფულადი ნაკადების მართვის კუთხით გარკვეული პრობლემები შეექმნება.

– ჩვენ მაინც დიდი რაოდენობის თანხების გადახდა გვიწევს. აქედან გამომდინარე, ფულადი ნაკადების თვალსაზრისით ეს პრობლემას არ შეუქმნის დიდ კომპანიებს, თუმცა აქ არის ერთი საშიშროება, უფრო მეტი ბიუროკრატია, როცა თქვენ მოგიწევთ შემდგომში ძალიან ბევრი დეკლარაციის დაზუსტება, იმიტომ, რომ საანგარიშო პერიოდში თქვენ მიიღებთ რაღაც თანხას ავანსით, თუმცა ეს შეკვეთა შეიძლება გაუქმდეს. შესაბამისად, ეს მეტ ბიუროკრატიულ საკითხს იწვევს.

რაც შეეხება პატარა კომპანიებს, მათ უფრო ადრე უწევთ თანხის გადახდა, ვიდრე შეეძლოთ გადაეხადათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე ფულად ნაკადებში ექმნებათ პრობლემა, – აცხადებს ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი „ბიზნესკონტრაქტთან“ საუბარში.

**ელენე გოგბერაშვილი, ბიზნესკონტრაქტი**

# „საბანკო და არასაბანკო ბიზნესს შორის დიდი ჩინეთის კედელია“

– დღეს ყველა თანხმდება, რომ ბანკებიდან არასაბანკო აქტივები სამართლებრივად გამიჯნულია, – აცხადებს ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას პროკრედიტ ბანკის ყოფილი დირექტორი საშა ტერნესი.

ტერნესი მიიჩნევს, რომ საინვესტიციო კომპანიების შეზღუდვა ქვეყნის განვითარებას შეაფერხებს. მისი განცხადებით, დამატებით რაც ამ კუთხით შესაძლოა რომ გაკეთდეს, იმ ჰოლდინგების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებაა, რომლებიც როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო ბიზნესს ფლობენ.

– თუ საუბარია ბანკზე, რომელიც არაპროფილურ ბიზნესში ერთვება, ის რეგულირებული და შეზღუდული უნდა იყოს, მაგრამ თუ საუბარია წარმატებულ საინვესტიციო კომპანიაზე, რომელიც თანხას იზიდავს სხვადასხვა ბაზრებიდან, არ ვთვლი, რომ მსგავსი ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შეიზღუდოს, თუ სად განათავსებს თავის ინვესტიციას.

თუ ერთი საქმიანობა არის საბანკო, მეორე კი არის არასაბანკო, საბოლოოდ ეს ქვეყნის განვითარებისთვის კარგია. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ამ ორ საქმიანობას შორის დიდი ჩინეთის კედელია. ინფორმაცია საბანკო სექტორიდან მეორე მხარეს არ უნდა გადადიოდეს.

ყველა თანხმდება, რომ სამართლებრივად კომპანიები გამიჯნულია. უფრო მეტი რაც შეიძლება გაკეთდეს, არის მეტი გარანტიის შექმნა და მეტი ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობენ კომპანიები ერთი ჰოლდინგის დაქვემდებარებაში, – განაცხადა ტერნესმა.

**ნინო კვინტრაძე, ბიზნესკონტრაქტი**

# საქართველოში ოჯახების დიდი რაოდენობა საკვებ პროდუქტს დროდადრო კრედიტით ყიდულობს



საქართველოში ყველაზე ხშირად 3 კერძს მოიხმარენ: შემწვარ კარტოფილს, ლობიოს და აჯაფსანდალს

ოქსფამის კვლევის შედეგების მიხედვით, ყოველ მესამე ოჯახს საქართველოში არ აქვს საკმარისი ფული სურსათის საყიდლად.

ოჯახების დიდი რაოდენობა საკვებ პროდუქტს დროდადრო კრედიტით ყიდულობს. საქართველოში ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 575 ლარს და თითქმის ნახევარი იხარჯება საკვებზე ყოველ თვე (საშუალოდ საკვებზე იხარჯება 270 ლარი თვეში).

დაბალშემოსავლიანი ოჯახები საკვებ პროდუქტებზე ხარჯავენ თავისი შემოსავლის 65%-ს (შემოსავალი 219 ლარი, საკვებ პროდუქტებზე ხარჯი – 142 ლარი), ხოლო მაღალშემოსავლიანი ოჯახები შემოსავლის მხოლოდ 35%-ს ხარჯავენ საკვებ პროდუქტებზე (შემოსავალი 1.421 ლარი, საკვებ პროდუქტებზე ხარჯი – 492 ლარი).

საქართველოს მოსახლეობის ნახევარს კვების მრავალფეროვნების საშუალო დონე აქვს, ხოლო კვების დაბალი და საშუალო დონის რესპონდენტები ძირითადად ზეთით და ბოსტნეულით იკვებებიან.

ხილი და ხორცი მხოლოდ გამოკითხული მაღალშემოსავლიანი ოჯახების უმრავლესობისთვისაა ხელმისაწვდომი.

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ყველაზე ხშირად 3 კერძს მოიხმარენ: შემწვარ კარტოფილს, ლობიოს და აჯაფსანდალს. რკინით მდიდარ საკვებს კი მოსახლეობის მხოლოდ 1/3 მოიხმარს, რომელსაც ძირითადად იღებს ცხოველური წარმოშობის პროდუქციიდან.

კვლევაში აღნიშნულია, რომ რკინით მდიდარი საკვების მოხმარება განსაკუთრებით დაბალია ქალებსა და ბავშვებში და 33-34%-ს წარმოადგენს.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ნახშირწყლოვან საკვებს მოიხმარს და ხორცეულის და თევზეულის ნაკლებობას განიცდის, რომელიც ცილებით, რკინით და ა ვიტამინითაა მდიდარი.

გამოკითხული ოჯახების 58% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადეს რომელიმე ჯგუფის სურსათის ნაკლებობა. კვლევის მიხედვით, საკმაოდ ხშირია ხორცის დეფიციტი.

მარტოხელა პენსიონერების ოჯახებში რკინით მდიდარი პროდუქტების მოხმარება საკმაოდ დაბალია და 24%-ს შეადგენს.

**კომერსანტ.გე**

# სკანდალური ფარული ჩანაწერი — მიხეილ სააკაშვილი მოსამართლეებს აშანტაჟებს



**უკრაინული საინფორმაციო სააგენტო „უკრაინსკა რევოლუცია“ მორიგ სკანდალურ ჩანაწერს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**

მიხეილ სააკაშვილი ესაუბრება დავით საყვარელიძეს.

**სააკაშვილი:**

– რას შვრები? ხედავ, ეს გივი რაებს ცირკაჩობს?

**საყვარელიძე:**

– ხო ნუ სამარცხვინო კაცია. ვითომ ეხლა თავისი მესიჯები წყვეტდეს, ალაგებდეს თემას.

**სააკაშვილი:**

– მაგ ინტრიგების თავიც სადღა აქვს მაგ ლოთს, ვინ დაიჯერებს ეხლა, რომ მესიჯებით ლუცენკოსთან ეგ არეგულირებს რამეს. მაგარი სასაცილოა.

**საყვარელიძე:**

– არა ეგ გასაგებია, თუმცა რასაც მე ვწვალობ დავრბივარ და ვის აღარ ველაპარაკე-ბი, ეგენი რომ ვაფეისბუქო, შეიძლება გმირად გამომაცხადონ, მაგრამ ეხლა მაგ ფარჩაკის დონეზე ხომ არ დავალ. მთავარია, ჩვენი ბიჭები ყველაფერს ხედავენ, ვინ და როგორ უდგას გვერდით.სააკაშვილი:

– კი ეგრეა, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. კაი. ეგ ლოთი იქით იყოს და რამე გაქვს სიახლე?

**საყვარელიძე:**

– კი, პროკურატურაში ჩემებსაც ველაპარაკე და მაგრად მაიმედებენ. ზევიდანაც კარგი განწყობააო.

**სააკაშვილი:**

– კარგია. მეც ველაპარაკე ვიღაცეებს. პიარის კუთხით მაქსიმალურად უნდა გავაქტიურდეთ, რომ გივის არ მიეწეროს ეს ყველაფერი. მე მგონი ვერ გაბედავენ და გამოუშვებენ, ამიტომ შენც უნდა გამოჩნდე ხშირად, რომ ჩვენ მივიწეროთ ბოლომდე ცერცვაძის გამოშვება. ისე, ეს თემა მაგარი აწია გვარამიამ და კიდევ დაგვეხმარება.

**საყვარელიძე:**

– კი და თანდათანობით მაგრად ხურდება. „იმენნა“ გაფარჩაკდნენ. ხმას ვეღარ იღებენ და რაღაც გაუგებარ განცხადებებს აკეთებენ. მაგრად აეწვათ.

**სააკაშვილი:**

– აბა რა ეგონათ. ჯერ კიდევ სად არიან. ბოლომდე უნდა შევუსრულოთ. სხვა ხდება რამე?

**საყვარელიძე:**

– ბიჭები ჩამოვიდნენ თბილისიდან. მოკლედ, იმ ალავიძეს და ქათამაძეს გაეგზავნათ ამანათები და ჩაიბარეს, იქ როგორც ვთქვით, დავუდასტურეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი იმედი, მომავალი გარანტირებული გაქვთ ყველანაირად ასეც და ისეც, კარიერულად ერთი მინისტრად, მეორე თავმჯდომარედ და რაღაც განსაკუთრებული კი არ გევალებათ, მოკლედ, თემა უნდა ააფეთქოთ-თქო.

ზეწოლის, თვალთვალის, დატერორების და დაშინების რეჟიმში გვამყოფებენ და აღარ ავიტანთ ამას-თქო. ოდნავ გაახმოვანეთ და ან თუნდაც გარეთ გამოაჟონინეთ. მაგ ინფორმაციას და დანარჩენს გვარამია მიხედავს-თქო. მაგათი ამბავი ზოგადადაც ხომ ხედავთ, წასულიათქო. თან გმირები და ხელშეუხებლებიც გამოხვალთ-თქო. მერე ტელეფონითაც მივანიშნე, რომ ჩვენ ვართ, რომ არ შეშინებულიყვნენ.

**სააკაშვილი:**

– ანუ იმედი გვაქვს?

**საყვარელიძე:**

– დარწმუნებული ვარ. გვარამიასაც ყველანაირად ეიმედება და თავისი ხაზით კონტაქტზეა. რაც მთავარია, ორივენი ამ უნიათოების მთავრობას ვერ იტანენ და ჩვენი მომხრეები არიან. უყურებენ, ჩამოეშალათ თავზე სასამართლოც და ისედაც ანგრევენ ქვეყანას.

**სააკაშვილი:**

– და საბოლოოდ როდის აპირებენ განხილვას?

**საყვარელიძე:**

– არ ვიცი, თუმცა, როცა არ უნდა იყოს, ესენი ბოლომდე მიაწვებიან და იტყვიან, რომ სრული სისულელეა და უნდა გაუქმდეს.

**სააკაშვილი:**

– იტყვიან კი?

**საყვარელიძე:**

– კი. უეჭველი. მაგათ ცოტა ტელევიზიებთან გამოსვლა უჭირთ. საჯაროდ თემების გასკანდალურებას ერიდებიან, თორემ მაგაში, რომ გასაუქმებელია, ბოლომდე მიაწვებიან.

**სააკაშვილი:**

– და სხვა მოსამართლეები? ხომ ბევრნი არიან და როგორ იქნება?

**საყვარელიძე:**

– ჯერ შემადგენლობაც არ დასახელებულა. როგორც კი დაასახელებენ, იმათაც წავემუშავებით, ვისთანაც აზრი აქვს. ვისთანაც არა და ვინც დაგვაპაშოლებს, უნდა გავაშაოთ ბოლომდე. პიარს გვარამია მიხედავს და გააფორმებს. ეგენი ხომ იცი კიდევ ღამურებივით არიან, ოღონდ საჯაროდ არ გამოაჭენო და მიკროფონი არ დაანახო, ხმას ვერ ამოიღებენ. ადვოკატების თავმჯდომარე ზაზაც მზადაა, რომ ბოლომდე გადაუაროს მაგათ, ენჯეოებიც მომართულნი არიან და, მოკლედ, მთელი ორკესტრი ამუშავდება.

**სააკაშვილი:**

– ოკ. მაგარია.

**საყვარელიძე:**

– კი ეგრეა. ახლა ჩვენებს ველოდები და პროკურატურასაც შევეხმიანები და თუ რამე სიახლეა, გეტყვი. წესით, უკვე ზუსტი პასუხი უნდა გვითხრან.

**სააკაშვილი:**

– მიდი, მიდი და შემეხმიანე.

# „ქართული ოცნება“ სააკაშვილზე გავრცელებულ ფარულ ჩანაწერზე სამართლებრივ რეაგირებას ითხოვს



„ქართული ოცნების“ დეპუტატ გია ვოლსკის განცხადებით, ფარული ჩანაწერების ავთენტურობაში, რომელიც უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა, აქამდე ეჭვი არავის შეჰპარვია და ეს თავად ჩანაწერებში მონაწილე პირებმაც დაადასტურეს.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ უკრაინული საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ჩანაწერები განსხვავებული იყო ფორმატიდან გამომდინარე, ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ მისი ავთენტურობის დადასტურებაა საჭირო.

– რაც შეეხება თვითონ ფაქტებს, რომლებიც წერილობით მასალაშია მოცემული, იმდენად მძიმე და შემაშფოთებელია, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ გადამოწმდეს აღნიშნული ფაქტები.

არის საკითხები, რომელთა მოკვლევაც აუცილებელია, ვინაიდან ქვეყნისთვის, მისი უსაფრთხოებისთვის, კონსტიტუციური წყობილებისათვის და პოლიტიკური ვითარებისთვის საგანგებო მნიშვნელობას ატარებს, – განაცხადა ვოლსკიმ.



დეპუტატი მიიჩნევს, რომ შესაბამისი კანონების სრული დაცვით ეს საკითხები დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი.

– გასაკეთებელი იქნება ამასთან დაკავშირებით განცხადებები იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ საკმაოდ შემაშფოთებელ ჩანაწერში მოხსენიებულები არიან, – აღნიშნა პარლამენტის ვიცე სპიკერმა.

***

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ლევან გოგიჩაიშვილი აცხადებს, რომ უკრაინული სააგენტოს მიერ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის დავით საყვარელიძის მიმოწერის ავთენტურობა დასადგენია.

ამის შემდეგ კი, როგორც გოგიჩაიშვილმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, სამართალდამცავი ინსტიტუტები უნდა დაინტერესდნენ და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არ მოექცნენ ამ ქვეყნის მოწინააღმდეგების შანტაჟის ქვეშ.

მისი თქმით, ეს არის ხალხი, ვინც ავანტიურებით ძალაუფლების დაბრუნებას ცდილობს, ამიტომ ყველაფერზე არიან წამსვლელები.

– ამ ადამიანების ბუნებიდან გამომდინარე, ვერ ეშვებიან მართლმსაჯულების წინააღმდეგ ბრძოლას. ჩანაწერებში იკვეთება, რომ სააკაშვილი საყვარელიძესთან დიალოგში ცდილობს „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლას.

მიმოწერის მიხედვით, მათ შესაძლოა ორ მოსამართლესთან კომუნიკაცია ჰქონდეთ დამყარებული. ასევე, ძალიან ცუდია, როდესაც ამაში გარეულია ბატონი გვარამია, რომელსაც დაგეგმილი აქვს მოსამართლეების დაშანტაჟება და ახალი სქემის გათამაშების სურვილი აქვს. ვფიქრობთ, რომ ეს არის მავნებლობა და ქვეყნის სასამართლო სისტემის მიმართ ღია ბრძოლა, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

დეპუტატის თქმით, ხელისუფლება არ დაუშვებს ამ ყველაფერს, ამიტომ სამართალდამცავებმა სერიოზულად უნდა შეისწავლონ ეს ფაქტი.

– მოვითხოვთ დაუყოვნებლივ რეაგირებას ამ საკითხთან დაკავშირებით, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.



უკრაინული ვებ-გვერდის, მიერ გამოქვეყნებულ სკანდალურ ინფორმაციას სამართლებრივი რეაგირება უნდა მოჰყვეს – მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მდინარაძე აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილისა და დავით საყვარელიძის სატელეფონო მიმოწერა, რომელიც ზემოხსენებულმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა, ადასტურებს, რომ ექს-პრეზიდენტი და მისი გუნდი განაგრძობს ზეწოლას ქართულ მართლმსაჯულებაზე.

– ასეთი ქმედებები საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს, უნდა დასრულდეს საუბარი ე.წ. ამანათებსა და ქრთამებზე. ვფიქრობ, ამ საქმით უნდა დაინტერესდეს საქართველოს პროკურატურა. პირველ რიგში უნდა დადგინდეს ამ მიმოწერის ავთენტურობა და სასამართლომაც თავისი სიტყვა უნდა თქვას. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა გამოძიების მიერ, საქმე უნდა გახდეს იუსტიციის საბჭოს მსჯელობის საგანიც და ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა მოჰყვეს ძალიან მკაცრი სამართლებრივი შეფასება. როგორც ჩანს, ეს ადამიანები არ ეშვებიან ზეწოლას ქართულ მართლმსაჯულებაზე, რაც წლების განმავლობაში გახლდათ მათი მუშაობის სტილი. ამ ინფორმაციით, ირკვევა, რომ დღესაც მიმდინარეობს აქტიური ზეწოლა კონკრეტულ მოსამართლეებზე, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მამუკა მდინარაძე.

# გოგა ჩანადირი: „გთხოვთ, დაიწყოთ პროცესი რკინის სიკვდილის შესაჩერებლად“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი მრავალფეროვანი ინიციატივით გამოირჩევა და მოქალაქეებს ხან ნაგვის ურნაში ჩაყრისკენ მოუწოდებს, ხანაც მოძრაობის წესების დაცვისკენ.

ამჯერად გოგა პრემიერ-მინისტრს და პარლამენტარებს მიმართავს და სთხოვს, დღესვე დაიწყონ პროცესი რკინის სიკვდილის შესაჩერებლად.

**გოგა ჩანადირი:**

– თქვენ გამო ახალი წლიდან დღემდე, ანუ ბოლო ერთ თვეში გზებზე უკვე ბევრი ადამიანი დაიღუპა.

ზღვარს გადასცდა ის პასიურობა, რასაც თქვენ იჩენთ.

უკვე დიდი ხანია, საზოგადოება უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას ითხოვს. თქვენ არც საქმით და არც კანონმდებლობით არაფერი შეცვალეთ.

ისმის მხოლოდ გაუთავებელი დაპირებები, რომ ეს ყველაფერი გაკეთდება, მაგრამ ლაპარაკიდან ლაპარაკამდე ყოველდღე საშუალოდ 2 ადამიანი იღუპება და 25-მდე შავდება.

პროცესის გადადება გონივრულ ვადებსაც კი გასცდა.

თქვენ საშველი არ დააყენეთ დამრღვევი მძღოლებისთვის ქულების დაკლების სისტემის ამოქმედებას, მართვის მოწმობის გართულებული გამოცდით აღებას, ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობას, ასევე, დამრღვევი ქვეითების დაჯარიმების საყოველთაო ნორმად დანერგვას.

კანონპროექტი წელზე მეტია, თაროზე შემოდეთ. ამასობაში კი რკინის სიკვდილით ყოველდღე გვეღუპებიან ადამიანები.

თითოეულის გარდაცვალების მიზეზი თქვენი ყოვლადგაუმართლებელი პასიურობაა.

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ბატონო და ქალბატონო პარლამენტარებო!

გთხოვთ, დღესვე დაიწყოთ პროცესი რკინის სიკვდილის შესაჩერებლად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რაიანი: „ტრამპის პოლიტიკა სწორია“



აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა პოლ რაიანმა განაცხადა, რომ ტრამპის პოლიტიკა ემიგრანტების მიმართ პრინციპში სწორია. ქვეყანას დაცული საზღვრები უნდა ჰქონდეს და ტერორისტებსაც საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

ამავე დროს რაიანმა ხაზი გაუსვა, რომ მიუღებელია ის მეთოდები, რომელთაც ტრამპი იყენებს.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტი ბევრ საკითხში ვერ ერკვევა და უფრო ემოციებზე დაყრდნობით მოქმედებს, – თქვა რაიანმა.

წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი აცხადებს, რომ შეხვდა და ესაუბრა უსაფრთხოების მინისტრ კელის. საუბარი კონსტრუქციული იყო.

– კელიმ აღიარა, რომ დაშვებულ იქნა შეცდომები და პირობა მომცა, რომ ყველაფერს იღონებს, რომ ეს გამოსწორდეს, – თქვა რაიანმა.

# აზერბაიჯანის უშიშროებამ 4 ტერორისტი მოკლა



აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა 4 პირის განადგურების შესახებ განაცხადა, რომლებიც ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდნენ.

– აზერბაიჯანში 31 იანვარს ჩატარებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების დაკავების სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულნი იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, სპეცოპერაციის დროს აღნიშნულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს სამართალდამცავებს.

– ოპერატიული მუშაკების მხრიდან საპასუხო ცეცხლის გახსნის შედეგად 4 ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს. ისინი ქვეყანაში ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდნენ, – განაცხადეს აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში.

# კიევში ავდეევკაში დაღუპულ 7 ჯარისკაცს გამოემშვიდობნენ



კიევში, დამოუკიდებლობის მაიდანზე, 72-ე ბრიგადის 7 ჯარისკაცს გამოემშვიდობნენ, რომლებიც ავდეევკაში ბრძოლების დროს დაიღუპნენ.

4 ჯარისკაცი 29 იანვარს დაიღუპა, ხოლო კიდევ 3 ჯარისკაცი – 30 იანვარს.

გუშინ, 1 თებერვალს, მაიდანზე ასობით ადამიანი შეიკრიბა. ისინი მუხლებზე დაჩოქილნი ემშვიდობებოდნენ ავდეევკაში დაღუპულებს. დაღუპულები გააცილეს შეძახილებით – „დიდება უკრაინას“, „გმირები არ კვდებიან“.

გუშინვე „ბოევიკებმა“ ავდეევკას რაიონში უკრაინული პოზიციების დაბომბვა განაგრძეს, მათ შორის „გრადის“ სისტემის მეშვეობით. დილის მდგომარეობით, ისინი ოთხჯერ შეეცადნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების პოზიციების აღებას.

ამის შესახებ ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბის პრესცენტრი იუწყება.

– დღეს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა განაგრძეს უკრაინული პოზიციების დაბომბვა ავდეევკასთან ახლოს. მოწინააღმდეგემ გამოიყენა „გრადის“ სისტემა, არტილერია, ყუმბარმტყორცნები, დიდი კალიბრის ტყვიამფრქვევები, – ნათქვამია განცხადებაში.

ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბში ასევე იუწყებიან, რომ „ღამით ოკუპანტებმა უკრაინული პოზიციების შტურმით აღება სცადეს, თუმცა მცდელობა წარუმატებელი იყო“.

სიტუაცია ავდეევკაში 29 იანვარს დილით დაიძაბა, როდესაც „ბოევიკებმა“ უკრაინის შეიარაღებული ძალების პოზიციების შტურმით აღება დაიწყეს.

* * *

ავდეევკიდან, რომელსაც ბოლო დღეების განმავლობაში „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ „ბოევიკები“ უტევენ, 175 ადამიანის ევაკუირება მოხდა.

აღნიშნულის შესახებ საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი ჩეჩეტკინმა უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა.

– გასული დღეების განმავლობაში ავდეევკის რაიონული საავადმყოფოდან ქალაქ კონსტანტინოვკას ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში 15 მძიმე ავადმყოფი გადაიყვანეს. ასევე მოხუცთა სახლიდან 20 ადამიანის ევაკუირება მოხდა. ამ დროისთვის 140 ადამიანი გადმოჰყავთ, ძირითადად ბავშვები და მათი მშობლები, – განაცხადა ჩეჩეტკინმა.

მისივე თქმით, საგანგებო სიტუაციების სამსახური მოემზადა დაახლოებით 12 ათასი ადამიანის გამოყვანისთვის უახლოესი 10 დასახლებული პუნქტიდან. მოსახლეობის ეტაპობრივი გამოყვანისთვის 180 ავტობუსია მზად.

* * *

უკრაინის თავდაცვის სამინისტროში ავდეევკაში სროლის სიხშირის შემცირებას აღნიშნავენ. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იგორ პავლოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა.

– სროლის რაოდენობა შემცირდა. ფაქტობრივად სროლის ორი ფაქტი დაფიქსირდა ამ მიმართულებით „გრადის“ სისტემიდან. დღევანდელი დღის მდგომარეობით უკრაინის შეიარაღებული ძალების პასუხი ადეკვატურია. სასროლი საშუალებების უმეტესობა დონეცკში საცხოვრებელ რაიონებშია განლაგებული, – განაცხადა პავლოვსკიმ.

ამავდროულად, უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების ერთი ჯარისკაცი შტურმის მოგერიებისას დაიღუპა. ასევე დაშავებულებიც არიან.

– დღეს ჩვენს პოზიციებზე იერიშის მიტანის ორი მცდელობა იყო, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ღირსეულად შეინარჩუნეს პოზიციები. სამწუხაროდ, დანაკარგებიც არის; ნაკლებია, ვიდრე გუშინ: ერთი დაღუპული და დაშავებულები, – აღნიშნა იგორ პავლოვსკიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# იაპონელებმა კიმონოში გამოწყობილი ტრამპის თოჯინა გამოუშვეს



იაპონურმა კომპანია კუაგეთსუმ, რომელიც ტრადიციული თოჯინების ხინა-ნენგეს წარმოებითაა დაკავებული, აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თოჯინა გამოუშვა.

სათამაშო ტრამპი დაახლოებით 60 სანტიმეტრის სიმაღლისაა და შავ-ოქროსფერ კიმონოშია გამოწყობილი, მის გარდა, კომპანიამ ასევე წარმოადგინა ტოკიოს მერის იუიკო კოიკეს თოჯინა.

აღსანიშნავია, რომ იაპონურმა კომპანიამ ერთი წლის წინ ასევე გამოუშვა ჰილარი კლინტონის თოჯინაც.

ხინა-ნენგეს სათამაშოები განკუთვნილია ხინამაცურის (გოგონების დღესასწაული) დღესასწაულისთვის, რომელიც 3 მარტს აღინიშნება. ამ დღეს იაპონურ ოჯახებში სახლებს რთავენ მრავალიარუსიანი სადგამებით, რომლებზე თოჯინებია განთავსებული და ქალიშვილებს ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებენ.

ზოგიერთი მყიდველის აზრით, საეჭვოა, რომ ტრამპის სახიანი ხინა-ნენგე შეეფერებოდეს გოგონების დღესასწაულს, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, როგორ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს იყენებდა ტრამპი ქალებთან მიმართებაში.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ხისატოსი ეკოიამას თქმით, კომპანიამ სათამაშო იმის იმედით გამოუშვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი სამყაროს უკეთესად აქცევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს.

ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79, ტელ: 2 182 186**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996**
**მიწოდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე**
**ანგარიშის ნომერი: GE79BG0000000327063600 ი.ბ**

**ფასი 35 ლარი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მკურნალობა

- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ვიაჩესლავ გროზნი: „დღეს ტექნიკის პრობლემა ქართველებსაც აქვთ“

თბილისის დინამო თურქულ შეკრებაზეა და ვიაჩესლავ გროზნის ხელმძღვანელობით ემზადება. დედაქალაქური კლუბის მთავარი მწვრთნელი კარგად არის ცნობილი თავის ქვეყანაში – უკრაინაში. მიუხედავად წარუმატებლად დასრულებული სეზონისა, გროზნი იმედიანად არის განწყობილი მომავალზე და ეს ნათლად გამოჩნდა უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

მართალია, გროზნი ძირითადად დინამოზე საუბრობს, მაგრამ ამ ინტერვიუში გამოჩნდა ერთი შტრიხი, რომელიც ასევე ახსენეს სხვა უცხოელმა მწვრთნელებმაც – ვლადიმირ ვაისმა და სვიატოსლავ სიროტამ სხვადასხვა ინტერვიუებში. როგორც ნათლად ჩანს, ქართველი ფეხბურთელების მთავარი პრობლემა უბურთოდ თამაშია...

**ახლა გროზნის ინტერვიუ:**

– ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ხშირად მიწევს უკრაინის გარეთ მოღვაწეობა. რვა წელიწადი რუსეთში გავატარე – სპარტაკსა და ტერეკში, წელიწადი – ყაზახეთში, ვწვრთნიდი ბულგარულ ლევსკის, ახლა კი საქართველოში ვარ. ერთმა ჟურნალისტმა ისიც კი შენიშნა, რომ ყველა ჩამოთვლილ კლუბში პირველი უკრაინელი მწვრთნელი ვიყავი, თავად კი ამაზე არც დავფიქრებულვარ. პატივისცემით ვეპყრობი ყველა კლუბს, სადაც მიმუშავია, თუმცა ისეთ დიდ კლუბში საქმიანობა, როგორიც სპარტაკი, დნიპრო ან თბილისის დინამოა, სულ სხვა გრძნობაა. მიდიხარ ბაზაზე და ხედავ ლეგენდარული ფეხბურთელების ფოტოსურათებს, რომლებსაც ტიტულები მოუგიათ – ყველაფერი ისტორიითა გაჯერებული. როდესაც ასეთ დიდ კლუბში აღმოჩნდები, პასუხისმგებლობას გრძნობ.

***– როგორ მოხვდით საქართველოში?***

– ოქტომბრის ბოლოს დინამოში კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ მიმიწვია, რომელიც ჯერ კიდევ მოსკოვის სპარტაკიდან მიცნობდა. როგორც მოგვიანებით მითხრეს, ის გუნდის მწვრთნელის თანამდებობაზე არაერთ კანდიდატურას განიხილავდა – კონონოვს, კუჩუკს, ბოროდიუკს, თვით გატუზოსაც... სულ 35-მდე ადამიანს. საქართველოში თასის მეოთხედფინალს დავესწარი და მოვიხიბლე ინფრასტრუქტურით. პრეზიდენტმა მითხრა, რომ ჩემთან თანამშრომლობით იყო დაინტერესებული, რადგან ჩემს ხელში იზრდებიან ახალგაზრდა ფეხბურთელები და მაგალითად სიჩევი, გუსევი, ჩიგრინსკი მოიყვანა... მოვილაპარაკეთ. ფიფიამ მითხრა – მე არ ჩავერევი ახალგაზრდა მოთამაშეებთან მუშაობაში, თუმცა უნდა იცოდეთ, რომ დღეს ჩვენ არ გვაქვს ეკონომიკური საშუალება სერიოზული ფეხბურთელების მოსაყვანად. პრეზიდენტი ბრძენი კაცია. დამარწმუნა, რომ მზადაა, სამი წელი მოიცადოს, სანამ ბიჭები დაიზრდებიან. ამჟამად თბილისის დინამოში რეფორმირება მიმდინარეობს. პრეზიდენტს სურს, რომ აკადემიის მეტი აღზრდილი იყოს პირველ გუნდში. რა თქმა უნდა, ეს რთული პროცესია, რადგან ზოგიერთი ყმაწვილი ჯერ 19-წლამდელების დონეზეც არაა. ახლა შეკრებაზე ხუთი-ექვსი 17 წლამდე, ამდენივე 18 და 19 წლამდე ფეხბურთელი გვყავს... ამ ბიჭებმა უმოკლეს დროში დიდი გზა უნდა განვლონ, რათა ასეთ დიდ გუნდში თამაში დაიმსახურონ.

***– როგორც ჩანს, პრეზიდენტმა შედეგზე პასუხისმგებლობა არ დაგაკისრათ – დინამო მე-4 ადგილზე გავიდა და ევროთასებს მიღმა დარჩა.***

– სიმართლე გითხრათ, სხვა შედეგის მიღწევის შანსი უკვე ძალიან მცირე იყო.

***– მაგრამ იყო შესაძლებლობა, პლეი ოფში მე-3 ადგილი დაგეკავებინათ.***

– სამწუხაროდ, როგორც დავინახეთ, ეს ფეხბურთელებს არ სჭირდებოდათ. ისინი ჯერ კიდევ ჩვენ მისვლამდე რაღაცაზე იყვნენ განაწყენებულნი. ბევრმა იცოდა, რომ კლუბში აღარ დარჩებოდა. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია საერთო ენის გამოძებნა. ჩვენც ახალგაზრდა ფეხბურთელების დიდი ჯგუფის დაწინაურება გადავწყვიტეთ. შემოდგომაზე უკვე თამაშობდნენ ახალგაზრდა ზარია, მიქელთაძე, ლოჩოშვილი... რაც შეეხება ბრინჯაოს ფინალს, არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება გქონდეს როგორც დინამოს თამაშისადმი, ისე მთლიანად ფეხბურთისადმი. ვიღაცამ მოგონილი მიზეზით უარი თქვა თამაშზე, ვიღაცამ გახურებისას მიიღო ტრავმა, ვიღაცამ მეორე ტაიმში შესვლა არ ისურვა... ვითომ თავიანთ საქმეებს სახელები დაარქვეს, სინამდვილეში კი სისულელე გააკეთეს.



***– დაიწერა, რომ თქვენ კონტრაქტი 1+2 სისტემით გაქვთ. მაინც რა პირობები უნდა შეასრულოთ, რომ +2 ამოქმედდეს?***

– პრეზიდენტთან ჯენტლმენური შეთანხმება 31 დეკემბრამდე დავდეთ. თუკი ყველაფერი კომფორტულად წარიმართა, გადავალთ სამწლიან სისტემაზე, ერთი წლის თავზე კი ორმხრივი შეთანხმებით გავაგრძელებთ თანამშრომლობას. ამავდროულად, თუკი ძალიან მომხიბვლელი წინადადება მექნება ან საქმეში რაღაც არ აეწყობა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, როგორც ძალიან ცივილიზებული ადამიანი, ამას გაგებით მოეკიდება. ასეთია საფეხბურთო ცხოვრება. არასდროს ვეჭიდები ადგილს. სასარგებლო უნდა იყო მოთამაშეებისა და კლუბისთვის, სადაც მუშაობ. საქმისთვის თავი და გული უნდა გქონდეს გადადებული. მწვრთნელისთვის ყოველი სავარჯიშო დღე საინტერესო უნდა იყოს და ჯერჯერობით, ჩემთვის საინტერესოა. მეტსაც გეტყვით: წვრთნა უფრო საინტერესოა, ვიდრე მატჩის ჩატარება – თამაშის დროს ხომ ყველა ფეხბურთელს ვერ ვიყენებ. თანაც, ვარჯიშზე ხელს არ მიშლიან მსაჯები. სხვანაირად რომ ვთქვათ, რეპეტიცია უფრო მხიბლავს, ვიდრე – სპექტაკლი.

***– თურქეთში, ამ ადგილზე და ამ სასტუმროში თქვენი გუნდები პირველად არ არიან.***

– აქ ძალიან მომწონს. ყველაფერი კომპაქტურია, სასტუმროს გვერდზეა სტადიონი, ტყე, სადაც კონდიციებს ვიმაღლებთ.

***– გასულ წელს, როდესაც ჰოვერლას წვრთნიდით, ჟურნალისტებს არ გვიშვებდით, დინამოში საიდუმლოები აღარ გაქვთ?***

– ჩვენ თვითონ არ ვიცოდით მაშინ, რა გველოდა. გეხსომებათ, ფეხბურთელების რეგისტრაციის გამო გუნდის ირგვლივ მწვავე სიტუაცია იყო. არ ვიცოდით, ვის ვათამაშებდით გუნდში. დინამოში კი ახალგაზრდა ფეხბურთელები არიან, რომელთა სახელებიც კი არ ვიცი... ამიტომ არანაირი საიდუმლო არ გვაქვს და ყველას ვესაუბრებით.

***– ვარჯიშებზე ყველას მოუწოდებთ, რომ თავი ამუშაონ. გისმენენ?***

– ზოგი სწრაფად ითვისებს, ზოგიერთი – ნელა, ბევრისთვის კი ძალიან რთულია. მთავარია, მათ აქვთ სურვილი. როდესაც გამოსდით, შექებას არ ვაკლებ. უფრო ხშირად აპლოდისმენტები არა გოლის ავტორს, არამედ ბოლო პასის მიმცემს ეკუთვნის. ასე გვინდა აღმოვფხვრათ ეგოიზმი. ბიჭები ფიქრობენ, რომ ბურთთან ყოფნა უფრო კარგია, ვიდრე პასი იმ ფეხბურთელს გადააწოდონ, ვინც მწვავედ იხსნება. ამიტომ ვცდილობთ, ასეთი ფეხბურთელები „ორ შეხებაზე“ გადავიყვანოთ. რთული პროცესია, მაგრამ სხვანაირად არაფერი გამოვა.

***– ქართველ ფეხბურთელებს „საბჭოელ ბრაზილიელებს“ უწოდებდნენ..***

– იყვნენ კიდეც ასეთები. იყვნენ! სიმართლე უნდა ვთქვათ: დღეს ტექნიკის პრობლემები ქართველებსაც აქვთ. როგორც ყოველთვის, დღესაც უბურთოდ უარესად თამაშობენ. უნდა ისწავლონ ბურთის ართმევა და შავი სამუშაოს შესრულება უნდა ისწავლონ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ვცდილობ, ავუხსნა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ერთ მატჩში ბურთს მხოლოდ 3 წუთის განმავლობაში ფლობს. დროა საჭირო, რომ ფეხბურთელები ამ გზას გაჰყვნენ. მესმის, რომ საოცრებები არ ხდება და დიდი სამუშაოს გაწევაა საჭირო. შეკრებაზე ოთხჯერადი ვარჯიშები გვაქვს. არავის სჯეროდა, რომ ქართულ გუნდებს ასეთ რეჟიმში მუშაობა შეუძლიათ. დილის 07:40 საათზე ტყეში სარბენად მივდიოდით. სამწვრთნელო შტაბიც დარბოდა. ცხადია, თავის ტემპში, მაგრამ ფეხბურთელები უნდა ხედავდნენ, რომ ჩვენ ჩვენი საქმით ვცხოვრობთ. 11 და 17 საათზე მოედანზე ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიშები გვქონდა, დღის ბოლოს კი სატრენაჟორო დარბაზში ვვარჯიშობდით.

***– ფეხბურთელები ასეთი რეჟიმის გამო არ წუწუნებენ?***

– რომც იწუწუნონ, ქართული მაინც არ მესმის. ეგ არაფერი, თანაშემწეები აუცილებლად გაიგებენ ასეთ შემთხვევაში და სათანადო რეაგირებას მოვახდენთ. ფეხბურთელებს უკვე ავუხსენი, რომ სხვაგვარად არაფერი გამოვა. მანქანა რომ წავიდეს, საწვავი უნდა ესხას. ტექნიკასა და ტაქტიკას არა მარტო სტატიკაში, არამედ დინამიკაშიც ვამუშავებთ, მაგრამ ჯერ უამრავი წუნი გვაქვს.

***– შეკრების დაწყებიდან 10 დღეში სლოვაკეთის ჩემპიონ ჟილინასთან მატჩი ფრედ დაასრულეთ. კმაყოფილი დარჩით?***

– შედეგით კი. დამაკმაყოფილებელი იყო ფეხბურთელების მოქმედება ბევრ ეპიზოდში. თუმცა დაცვაში თამაშმა არ დამაკმაყოფილა. მეტოქეს მეტის გატანაც შეეძლო. იყო ბევრი წუნი მარტივ სიტუაციაში.

***– ძალიან თვითკრიტიკული ხომ არ ხართ?***

– სერიოზულ მეტოქესთან ასეთი ანგარიში ძალიან კარგია, მაგრამ მარცხს და მოგებას ერთმანეთისგან არ უნდა არჩევდე. ყოველთვის ვუყურებ, რა არის გამოსასწორებელი. ფეხბურთელთა ნაწილს ბურთი დიდი ხნით უჭირავს, ზედმეტ შეხებას აკეთებენ, ბურთის მიღებისას შეტევის გაგრძელებას ვერ ხედავენ. ეს, სამწუხაროდ, იმის გამო ხდება, რომ აკადემიაში ვერ ითვისებენ ამას და დიდ გუნდში უკვე ადაპტაციის პრობლემა ექმნებათ. ყოველთვის დამნაშავე მწვრთნელი ვერ იქნება. გვსურს, ჩვენმა აკადემიამ ზაგრების დინამოს, აიაქსის, არსენალისა და ბარსელონას მაგალითით იმუშაოს. საამისოდ, ინფრასტრუქტურა კარგია... დაგვრჩა მეთოდური სამუშაო, რათა ამოვწიოთ ტალანტები. დღევანდელი 17-წლიანების გუნდი ძალიან პერსპექ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შერმადინი ესპანეთში თვის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს



საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის დიდი აღიარება. მორაბანკ ანდორას ქართველი ლეგიონერი, გიორგი შერმადინი ევროპის საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო ლიგის თვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ლიგაში, სადაც მადრიდის რეალი, ბარსელონა, ბასკონია და ამ გუნდებში გაბნეული მსოფლიო დონის კალათბურთელები თამაშობენ, იანვრის თვის საუკეთესოდ ქართველი ცენტრი დაასახელეს.

გიორგი შერმადინისთვის 2017 წლის პირველი თვე მართლაც გამორჩეული იყო. ქართველმა ცენტრმა 4 შეხვედრა ჩაატარა – მადრიდის რეალთან 35 წუთში 21 ქულა, 15 მოხსნა, 1 ჩაჭრა დააგროვა. შემდეგ იყო ბეტისთან შეხვედრა, რომელშიც შერმადინმა 26 წუთში 22 ქულა, 11 მოხსნა და 1 პასი გააკეთა. ამას მოჰყვა გამარჯვება გრან კანარიასთან – გიორგიმ კი, 24 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა და 1 პასი შესძინა გუნდს, ხოლო ბოლოს ჟუვენტუდთან მარცხით დასრულდა, სადაც ქართველი ისეთი შთამბეჭდავი ველარ იყო, თუმცა თანაგუნდელებს შორის მაინც საუკეთესო გახლდათ: 23 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება.

ამ 4 მატჩში შერმადინი საშუალოდ 18 ქულას და 9 მოხსნას აგროვებდა. გადამწყვეტი კი მარგი ქმედების კოეფიციენტი გამოდგა. ეს მაჩვენებელი ანდორას ქართველ ლეგიონერს იანვრის თვეში საშუალოდ 27,8 ჰქონდა.

გარდა ამისა, შერმადინს იანვრის თვეში ორჯერ ჰქონდა ტურის საუკეთესო შედეგი და ერთხელ საუკეთესოდ დაასახელეს, ერთხელაც მას ამაში ანდორას დამარცხებამ (რეალთან) შეუშალა ხელი.

## შვაინშტაიგერმა გულშემატკივრებს უპასუხა



მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა ბასტიან შვაინშტაიგერმა გასულ უქმეებზე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება დაიმსახურა. ინგლისის თასზე უიგანის წინააღმდეგ ბასტიმ შესანიშნავი გოლი გაიტანა და საგოლე პასითაც გამოირჩა.

მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატკივრებმა ბასტიანი თავის მეუღლესთან ანა ივანოვიჩთან ერთად მანჩესტერის მახლობლად, სოფელ ჰეილში შენიშნეს და „ოლდ ტრაფორდზე“ პირველი გოლის აღნიშვნა მიულოცეს, რომელიც გერმანელმა ინგლისის თასზე უიგანის კარში გაიტანა.

თუმცა, შვაინშტაიგერმა გაიღიმა და გულშემატკივრებს უპასუხა – არა, ეს ჩემი მე-2 გოლია „ოლდ ტრაფორდზე“, პირველი გოლი კი მიუნხენის ბაიერნისთვის გავიტანე.

შეგახსენებთ, რომ შვაინშტაიგერმა 2013-14 წლის სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მანჩესტერი-ბაიერნის დაპირისპირებისას ვიდიჩის გატანილი გოლის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო გოლის ბადეში გადაგზავნის შემდეგ, რამდენიმე ხანში მიღებული 2 ყვითელი ბარათის ჯამში წითელი ბარათი დაიმსახურა და მოედნიდან იქნა გაძევებული, შესაბამისად, საპასუხო მატჩში, რომელიც „ალიანც არენაზე“ ჩატარდა, მონაწილეობა ვერ მიიღო, სადაც მიუნხენელებმა ინგლისური კლუბი ანგარიშით 3:1 დაამარცხა.

გეტყვით იმასაც, რომ შვაინშტაიგერი დიდი ხნის განმავლობაში მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და ერთი პერიოდი მეორე გუნდშიც დააქვეითეს. თუმცა, „წითელი ეშმაკების“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ უიგანთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ გერმანელ ნახევარმცველს ევროპა ლიგის განაცხადში აუცილებლად შეიყვანს.

## შედეგები

31 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| არსენალი-უოტფორდი | 1:2 |
| ბორნმუთი-კრ.პალასი | 0:2 |
| ბარნლი-ლესტერი | 1:0 |
| მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| სანდერლენდი-ტოტენჰემი | 0:0 |
| სუონსი-საუთჰემპტონი | 2:1 |
| ლივერპული-ჩელსი | 1:1 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 23 | 18 | 2 | 3 | 48-16 | 56 |
| 2.ტოტენჰემი | 23 | 13 | 8 | 2 | 45-16 | 47 |
| 3.არსენალი | 23 | 14 | 5 | 4 | 51-25 | 47 |
| 4.ლივერპული | 23 | 13 | 7 | 3 | 52-28 | 46 |
| 5.სიტი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-28 | 43 |
| 6.მანჩესტერი | 22 | 11 | 8 | 3 | 33-21 | 41 |
| 7.ევერტონი | 22 | 10 | 6 | 6 | 33-23 | 36 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 9 | 6 | 8 | 31-29 | 33 |
| 9.ბარნლი | 23 | 9 | 2 | 12 | 25-33 | 29 |
| 10.სტოკი | 22 | 7 | 7 | 8 | 28-34 | 28 |
| 11.ვესტ ჰემი | 22 | 8 | 4 | 10 | 29-36 | 28 |
| 12.საუთჰემპტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 23-28 | 27 |
| 13.უოტფორდი | 23 | 7 | 6 | 10 | 27-39 | 27 |
| 14.ბორნმუთი | 23 | 7 | 5 | 11 | 32-41 | 26 |
| 15.მიდლსბრო | 23 | 4 | 9 | 10 | 19-26 | 21 |
| 16.ლესტერი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-38 | 21 |
| 17.სუონსი | 23 | 6 | 3 | 14 | 28-52 | 21 |
| 18.კრ.პალასი | 23 | 5 | 4 | 14 | 32-41 | 19 |
| 19.სანდერლენდი | 23 | 4 | 4 | 15 | 20-42 | 16 |
| 20.ჰალი | 22 | 4 | 4 | 14 | 20-47 | 16 |

ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ვულვზი | 1:3 |
| ბირმინგემი-რედინგი | 0:1 |
| ბრენტფორდი-ასტონ ვილა | 3:0 |
| ბრისტოლი-უენსდი | 2:2 |
| იფსვიჩი-დერბი | 0:3 |
| კარდიფი-პრესტონი | 2:0 |
| ნოტინგემი-როტერჰემი | 2:0 |

იტალია. თასი

| | |
|---|---|
| ინტერი-ლაციო | 1:2 |

შოტლანდია. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| ჰამილტონი-ინვერნესი | 3:0 |
| როსი-მოზერველი | 1:2 |

ბელგია. თასი

| | |
|---|---|
| გენკი-ოსტენდე | 0:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება – 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის მასტოპათია

**ეკა ირემაშვილი**

მასტოპათია კრებითი ტერმინია, რომელიც სარძევე ჯირკვალში მიმდინარე ყველა კეთილთვისებიანი მიმდინარეობის მქონე დაავადებას აერთიანებს. მასტოპათია ქალთა 90 პროცენტში ვლინდება. გართულებების თავიდან ასაცილებლად ქალბატონებმა დროულად უნდა მიაკითხონ ექიმს.

რა არის მასტოპათია, რა სიმპტომები ახასიათებს და ვინ შედიან რისკ-ჯგუფში ამ თემებზე თსსუ-ის ვიცე რექტორი, მამოლოგი, ონკო-პლასტიკური ქირურგი, პროფესორი ირაკლი კოხრეიძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ირაკლი კოხრეიძე:**

– მასტოპათია ეს არის კრებითი ტერმინი, რომელიც აერთიანებს სარძევე ჯირკვალში მიმდინარე ყველა კეთილთვისებიანი მიმდინარეობის მქონე დაავადებას. დღეისათვის მასტოპათია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ არის ტერმინოლოგიურად განხილული როგორც სარძევე ჯირკვლის ფიბროზულ ცისტური ავადმყოფობა სხვადასხვა კომპონენტის სიჭარბით.

***– მასტოპათიის შემთხვევები ხშირია?***

– მასტოპათია პრაქტიკულად ქალთა 90 პროცენტში ვლინდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის კეთილთვისებიანი მიმდინარეობის მქონე მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სხვადასხვა სიმპტომები.

***– რა სიმპტომებია?***

– სარძევე ჯირკვალში ტკივილი, დისკომფორტი მენსტრუალური ციკლის დროს, სხვადასხვა სახის გამონადენი სარძევე ჯირკვლიდან, არა სისხლიანი ბუნებრივია, კვანძოვნება. ეს კრებითად შეიძლება მივაკუთვნოთ მასტოპათიას. როგორც წესი, მასტოპათია ასოცირებულია ქალის ენდოკრინული სისტემის სხვადასხვა ტიპის დარღვევებთან.

ეს არის ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები, გინეკოლოგიური სფეროს პრობლემები. ხშირ შემთხვევაში მასტოპათიის მკურნალობა სწორედ ამ დაავადებათა მკურნალობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ.

***– ჭარბი წონა თუ არის გადამწყვეტი?***

– ჭარბი წონა წარმოადგენს რიკს ფაქტორს ქალის სარძევე ჯირკვალში მიმდინარე პრობლემებისა. რატომ? იმიტომ, რომ იზრდება სისხლში ქალის სასქესო ჰორმონების კონცენტრაცია. ცხიმოვან ქსოვილში ხდება მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ქალის სასქესო ჰორმონები და ამ სასქესო ჰორმონების სიჭარბემ სისხლში, შეიძლება განაპირობოს გარკვეული პრობლემები სარძევე ჯირკვალში.

რეალურად დღეს მასტოპათიის მკურნალობა ეფუძნება იმ თანმხლები ენდოკრინული სფეროს პრობლემების მოგვარებას, რაც ძალიან ხშირია.

***– მასტოპათიის დროს გენეტიკას გადამწყვეტია?***

– როგორ წესი, მასტოპათია გენეტიკასთან არ არის ასოცირებული. გენეტიკასთან ასოცირებულია ძუძუს ე.წ. გენეტიკური კიბო, რომელიც თავის მხრივ ასოცირებულია კონკრეტული გენების მუტაციასთან. ამ შემთხვევაში ნამდვილად აქვს მნიშვნელობა.

***– რისკ ჯგუფში რომელი ქალბატონები შედიან?***

– თუ ჩვენ ვსაუბრობთ ავთვისებიან სიმსივნეებზე, პირველ რიგში, ესენი არიან გენეტიკური დატვირთვის მქონე ადამიანები. ადამიანები, რომელთაც ჩატარებული აქვთ მკურნალობა ძუძუს კიბოს გამო და მდგომარეობები, რომელთა დროს დადგენილია ლაბორატორიულ ინსტრუმენტული კვლევებით უჯრედული ატიპია.



**ირაკლი კოხრეიძე**

მაგალითად, მასტოპათიის კვანძოვანი ფორმები, რომელთა დროს ტარდება ციტოლოგიური კვლევა და ამ ციტოლოგიური კვლევით დადგენილია უჯრედული ატიპია. ამ შემთხვევაში ეს ადამიანები მიეკუთვნებიან ძუძუს კიბოს წარმოშობის მაღალი რისკის ჯგუფს და ამ ადამიანების მიმართ ტარდება გარკვეული ღონისძიებები. ეს ადამიანები დროულად და ხშირად უნდა იტარებდნენ გარკვეულ გამოკვლევებს, უნდა ერთვებოდნენ ე.წ. ქიმიურ პრევენციულ სქემებში. ეს არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ქიმიოთერაპიას. ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს უნდა ენიშნებოდეთ კონკრეტული პრეპარატები, რომლებიც ამცირებენ ძუძუს კიბოს განვითარების რისკს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში და მათ შორის საქართველოში, სულ უფრო ხშირად ამისთანა ადამიანები იტარებენ პროფილაქტიკურ ოპერაციებს, რათა გართულებები თავიდან იყოს აცილებული.

***– დროულად მოდიან თქვენთან პაციენტები?***

– სამწუხარო ფაქტია, რომ სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების სიხშირემ იმატა, რაც უკავშირდება არა მარტო პირველადი დაავადების სიხშირის მატებას, არამედ სკრინინგული პროგრამების რეალიზებას, რაც სათანადოდ, დროულად და ადრეულად გამოავლენს ამ დაავადებას.

ძუძუს ონკოდაავადებათა სტრუქტურაში იკლო შორს წასული შემთხვევების სიხშირემ. ეს ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ქალები უფრო მეტად ინტერესდებიან თავიანთი ჯანმრთელობით და უფრო ხშირად აკითხავენ ექიმს.

10 წლის წინ ჩემს პრაქტიკაში უფრო ხშირი იყო მესამე-მეოთხე სტადია, დღეს პირველი-მეორე სტატია უფრო ხშირია.

***– ასაკი?***

– დაავადება გაახალგაზრდავდა, ეს ჩვენთვის ძალიან მძიმეა. ეს მარტო სამედიცინო კი არა, სოციალური პრობლემაც არის. როცა ახალგაზრდა ასაკში ქალები უფრო სოციალურად აქტიურები არიან, მათში ეს ვლინდება. გახშირდა შემთხვევები და ვფიქრობ, კიდევ უფრო გახშირდება. ასეთი სამწუხარო დინამიკაა.

***– რას ურჩევდით ჩვენს მკითხველს?***

– ყველა ჩემს ინტერვიუში ყოველთვის ხაზს ვუსვამ მთავარს – ძუძუს კიბოს მთავარი სიმპტომი ეს არის სარძევე ჯირკვალში კვანძოვანი წარმონაქმნის არსებობა. თუმცა ქალებს ამის არ უნდა შეეშინდეთ. ამ კვანძოვანი წარმონაქმნის არსებობის შემთხვევაში 70 პროცენტში ეს არის კეთილთვისებიანი მდგომარეობა. არ უნდა ჩადგნენ სირაქლემას პოზიციაში, აუცილებლად მიმართონ კვალიფიციურ სამედიცინო დაწესებულებას, პროფილურ სამედიცინო დაწესებულებას და კვალიფიციურ ექიმს.

რაც ყველაზე მთავარია, წელიწადში ერთხელ მივიდნენ ექიმთან, რათა საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ.

## კალეიდოსკოპი

### დიდთეძოებიან ქალს მათი მოცულობის შემცირება სურს



ამერიკის ქალაქ მაიამის მკვიდრმა ქალბატონმა, რომლის თეძოების გარშემოწერილობა 150 სანტიმეტრს აღწევს, გადაწყვიტა, მათი მოცულობა შეამციროს, ვინაიდან ასეთი ზომის თეძოები მას მუშაობაში ხელს უშლის.

კორტნი ბარნსმა რამდენიმე წელი მოცეკვავედ იმუშავა. სოციალურ ქსელებში და კლიენტებს შორის საკუთარი პოპულარობის გაზრდისთვის, 2010 წელს, მან აკრძალული პრეპარატების უამრავი ინექცია გაიკეთა თავის თეძოების მოცულობის გასაზრდელად.

– გამიმართლა, რომ ამას რაიმე სახის გართულება არ მოჰყოლია, – აღნიშნა ბარნსმა.

ახლა 32 წლის ბარნსმა ეკონომიკური განათლება მიიღო და სპეციალობით მუშაობს, მაგრამ უჩვეულო ფორმის გამო კოლეგების და გარშემო მყოფთა მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობს.

– მინდა, რომ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ესმოდეთ, რომ დუნდულების ზომა ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე გავლენას არ ახდენს, – განაცხადა ბარნსმა.

ქალმა კონსულტაცია გაიარა პლასტიკურ ქირურგთან და უახლოეს ხანში თავისი თეძოების ზომის შემცირებას გეგმავს.

### შვეიცარიულმა სოფელმა საკუთარი ვალუტა შემოიღო

შვეიცარიის სოფელ ლე-დიაბლერეში საკუთარი ვალუტა სახელწოდებით ისენაუ შემოიღეს, რათა ამით ახალი ფუნიკულიორისთვის ფული შეაგროვონ.

ისენაუს ინტერესების დაცვის ფონდმა, რომელსაც სახელი ლე-დიაბლერეს ზევით მთებში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტის პატივსაცემად დაერქვა, 50 ათასი მონეტა გამოუშვა. აპრილამდე ადგილობრივი მაღაზიები და რესტორნები ნაღდი ფულის სახით მიიღებენ, რომლის კურსი ერთ ისენაუზე 10 შვეიცარიული ფრანკი იქნება.

– ვიღაცა ყველს ყიდულობს, რომელიც 10 ფრანკი ღირს და 20 ფრანკიანი კუპიურით იხდის საფასურს, – განმარტა ყველის მაღაზიის მფლობელმა ლიუსიენ მორერომ, – ჩვენ მას ვეკითხებით, ხომ არ ისურვებდა ხურდის სახით ისენაუს მონეტის მიღებას.

თუ ტურისტი ამ ვალუტის დახარჯვას გადაწყვეტს, მას ამის გაკეთება ლე-დიაბლერეში მოუწევს. ამ იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ის სოფლის ეკონომიაზე დადებით გავლენას მოახდენს.





### ავსტრიაში შიშველი ველოსიპედისტი ხულიგნობისთვის დააკავეს

ავსტრიის ქალაქ ფილაში დააკავეს ველოსიპედისტი, რომელიც ძლიერ ყინვაში ქუჩაში ტანსაცმლის გარეშე დასეირნობდა.

შიშველმა მამაკაცმა ყურადღება მაშინ მიიპყრო, როდესაც ის სასტუმროში მბრუნავი კარიდან შესვლას შეეცადა. ამის შემდეგ მან სასტუმროს ავტოფარეხში სახანძრო სიგნალიზაცია გამორთო და სვეტის უკან დაიმალა.

ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა იატაკზე დაყრილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აღმოაჩინეს, შემდეგ კი მათი პატრონიც. ის ველოსიპედს მოახტა და შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ მალე სატრანსპორტო საშუალება მიატოვა. პოლიცია მამაკაცს ქალაქის ცენტრში წამოეწია.

დაკავებული მამაკაცი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და ვერ აცნობიერებდა, რომ ჰაერის ტემპერატურა მინუს 13 გრადუსს შეადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 2 თებერვლისთვის



**ვერძი** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **კურო** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **ტყუპები** – ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **კირჩხიბი** – ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ლომი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარება მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს სთხოვეთ. **სასწორი** – გადით ქალაქგარეთ, ივარჯიშეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **ღრიანკალი** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **მშვილდოსანი** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **მერწყული** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **თევზები** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. რამდენიმე თოფის, ქვემეხის ერთდროული გასროლა; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 7. გერმანელი ოპტიკო-მექანიკოსი, ოპტიკური მინების წარმოების დამფუძნებელი; 9. ოსური ცეკვა; 12. ორთქლმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. ძველ რომში თავისუფალი ადამიანი, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 15. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში.

**თარაზულად:** 5. ბუნებრივი ნაკრძალი აღმოსავლეთ საქართველოში; 6. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 8. გამოქვაბულებში, მიწისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. განუხორციელებელი ოცნება, იმედი; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 21. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 22. ძვირფას ქვებზე მხატვრული კვეთის ხელოვნება; 23. ირლანდიის დედაქალაქი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



### წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 8. ტარტუ; 3. იურტა; 4. გაუკი; 5. ოკრიბა; 6. კუბელიკი; 8. ივანიშვილი; 10. დუბროვნიკი; 11. ტარანტინო; 14. კოვბოი; 15. უოლესი; 16. ტვიში.

**თარაზულად:** 1. ჰანტელი; 4. გეორგიკა; 7. ტიბრი; 9. ვარდი; 12. ბაიერი; 13. საუნა; 14. კვარცი; 17. ტვენტე; 18. ღვინობისთვე; 19. გიენისი; 20. ბიზონი

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქათალა; 2. ზალპი; 3. დეპარდიე; 4. „იამაჰა“; 7. ცეისი; 9. სიმდი; 12. სტეფენსონი; 14. პლებეი; 15. იზაბელა; 17. ჰეზბოლა; 20. კრიკი.

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. იკებანა; 8. ჰიპოგეა; 10. მასანდრა; 11. ილუზია; 13. ოპერეტა; 16. ვილჰელმი; 18. „მედეა“; 19. გარდა; 21. ტრიერი; 22. გლიპტიკა; 23. დუბლონი.

## გააუქმეთ აეროსმიტის კონცერტი!



მაისში ლეგენდარული ჯგუფი აეროსმიტი საქართველოს ეწვევა და ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს. ჯგუფის კონცერტისთვის 5.500.000 ლარი გამოიყო, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

აეროსმიტის კონცერტის გაუქმებას ითხოვს ახალგაზრდა საოპერო მომღერალი მიშა ქირია და კონცერტისთვის გამოყოფილი თანხის დახარჯვას იმ მოსახლეობაზე ითხოვს, რომლებიც „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალდნენ:

– გააუქმეთ აეროსმიტის კონცერტი და ის ფული მოახმარეთ „ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრისგან დაზარალებულ ჩვენს მოსახლეობას.

აღარ გვინდა 5 მილიონის გადაყრა ტაშ-ფანდურში, როცა ასეთი ტრაგედია დაატყდა ხალხს თავს! დიახ, ტრაგედია, იმიტომ, რომ დარჩნენ ლუკმაპურის გარეშე, ბანკების პირისპირ! ხანძარს შეეშვით, თავისით ჩაქრება.

## ქართველი მსახიობი თეირანში საუკეთესოდ დასახელდა



თეირანში რიგით 35-ე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა, რომელშიც საქართველოდან მუსიკისა და დრამის თეატრი მონაწილეობდა.

დასმა ფესტივალის ფარგლებში მაკა ნაცვლიშვილის „ფსიქოზი 4.48“ და დავით დოიაშვილის „ფსკერზე“ ითამაშა და წარმატებასაც მიაღწია.

ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ნანა ბუთხუზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა და სპეციალური პრიზი გადაეცა.

## დღის კალენდარი

**2 თებერვალი**



**წლის მე-33 დღე, ახალ წლამდე დარჩა 332 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ექვთიმე დიდისა (473). მოწამეთა: ვასასი, ევსები, ევტიქი, ბასილიდისა (303); ინნასი, პინასი და რიმასი (I-II).

კეთილმსახურისა მეფისა ლეონ დიდისა (474) ღირსთა ექვთიმე მდუმარისა და ლავრენტი დაყუდებულისა; მოწამისა ზაქარია პატრელისა.

ღირსი მამა ექვთიმე დიდი წარმოშობით ქალაქ მელიტინიდან იყო. მისი მშობლები პავლე და დიონისია წარჩინებული წარმოშობის ღვთისმოშიში ქრისტიანები იყვნენ.

მამა ღირსი ექვთიმესი ადრე გარდაიცვალა. დედამ კი ძე აღსაზრდელად ევდოქსი ხუცესს მიაბარა. მან ყრმა მილიტინის ეკლესიის ეპისკოპოსს ოტრიოსს გადასცა. მალე ეპისკოპოსმა ეკლესიის მკითხველად დაადგინა იგი.

თავის 30-ე წელს ფარულად წავიდა მშობლიური ქალაქიდან და იერუსალიმს გაემართა. იქ მან მონასტრის ზღუდეთა გარეთ ცარიელი ჯოხი ნახა და დასახლდა. მან შემოიკრიბა საძმო და ღირსეულად მსახურებდა ღმერთს.

თავისი აღსასრულის დღე ექვთიმეს წინასწარ გამოეცხადა, დამოძღვრა ძმები და 478 წელს მიიცვალა. იგი ამ დროს 97 წლისა იყო.

წმიდა მოწამენი ვასა, ევსევი, ევტიქი და ბასილიდე იმპერატორ დიოკლიტიანეს კარისკაცნი იყვნენ. ისინი მოწმენი გახდნენ, თუ როგორ ევნო ქრისტეს რწმენისათვის ნიკომიდიის ეპისკოპოსი თეოპემტე (ხსენება 5 იანვარს), თვითონაც ირწმუნეს იგი ჭეშმარიტ ღმერთად და წმიდა ნათელი მიიღეს. ამისთვის ისინიც აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. წმიდა ვასა მიწაში ჩამარხეს წელამდე და მახვილით აჩეხეს, წმიდა ევსევი თავდაყირა დაჰკიდეს და შუაზე გაჰკვეთეს, წმიდა ევტიქი ბოძებზე მიაკრეს ხელ-ფეხით და ნაწილებად დაგლიჯეს, ხოლო წმიდა ბასილიდეს დანით გაუფატრეს მუცელი. ეს წმიდა მოწამენი 303 წელს ევნენ.

წმიდა მოწამე ზაქარია 1782 წელს ევნო ქრისტეს სჯულისათვის თურქთაგან, ძველ პატრებში (ყოფილი პელეპენოსი). თავდაპირველად მან მუსლიმთა სარწმუნოება მიიღო, მაგრამ შემდეგ შეინანა და კვლავ ქრისტეს ჭეშმარიტ რწმენაზე მოიქცა. იგი ხეზე გაკრული აღესრულა მოწამებრივად.

**დაიბადნენ:**

1769 – კლიმენტ XIII, რომის პაპი.

1829 – ალფრედ ედმუნდ ბრემი, ზოოლოგი, ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა „ცხოველთა ცხოვრება“. გარდაიცვალა 1884 წელს.

1889 – კონსტანტინე ერისთავი, ქირურგი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1892 – ბორის კუფტინი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. აღმოაჩინა და შეისწავლა თრიალეთის კულტურა. გარდაიცვალა 1953 წელს.

1908 – სოლომონ ხუციშვილი, ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი. გარდაიცვალა 1997 წელს.

1934 – ოთარ იოსელიანი, კინორეჟისორი, სცენარისტი.

**გარდაიცვალნენ:**

1907 – დმიტრი მენდელეევი, ცნობილი რუსი ქიმიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი.

1920 – რობერტ ედვინ პირი, ამერიკელი მკვლევარი, ადმირალი, მან პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

**მოვლენები:**

1852 – მამაკაცთა პირველი საზოგადოებრივი საპირფარეშო გაიხსნა ლონდონში ფლიტ სტრიტზე.

1924 – ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობა დამყარდა.

1943 – დასრულდა სტალინგრადის ბრძოლა.

1989 – დასრულდა საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ათწლიანი ოკუპაცია.

**ღირსახსოვარი დღეები:**

აშშ, კანადა – ზაზუნას დღე.

*მედიანიუსი*

## ვინ უწოდებს ირაკლი კვირიკაძეს ქართველ ალენ დელონს?



ფრანგი მსახიობი ალენ დელონი ყველა დროში ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობია. დრამატურგი რეზო კლდიაშვილი ფართო საზოგადოებას ქართველ ალენ დელონს აცნობს. ეს ირაკლი კვირიკაძეა, რომელიც რეზო გიგინეიშვილის ახალ ფილმში „მძევლები“ მონაწილეობს. ის ფილმში გეგა კობახიძის როლს ასრულებს.

**რეზო კლდიაშვილი:**

– რეზიკო გიგინეიშვილი – თანამედროვეობის ერთ-ერთი საინტერესო კინორეჟისორი. მქონდა ბედნიერება, თვალყური მედევნებინა, გადასაღებ მოედანზე როგორ მუშაობდა და ამიტომაც ვაძლევ ჩემს თავს ამის თქმის უფლებას.

ისიც მიხარია, რომ ამ ფილმთან ერთად დაიბადება ქართველი ალენ დელონი – ირაკლი კვირიკაძე. ღმერთმა ქნას, ჩემი სიტყვები გამართლდეს – დაველოდოთ ფილმის პრემიერას და მის შემდგომ წარმატებებს.

## „ფურთხის ღირსი ხარ, გულგრილო და უმადურო ქართველო!“



„ნიჭიერთა ათწლედის“ ყოფილი დირექტორი თამარ შენგელია ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და თავის გულისტკივილსაც ფართო საზოგადოებას აცნობს.

**თამარ შენგელია:**

„ძალიან მიხარია, რომ აეროსმიტის შოუსთვის ქვეყანაში მოინახა 5.000.000. ასევე მიხარია წინა წლებში კონცერტებზე დახარჯული რამდენიმე მილიონი, რობბიე წილლიამს-ის ძვირადღირებული ტრაკის ნახვა ჩემს მშობლიურ მიწაზე და მრავალი სხვა, ირონიის გარეშე ვამბობ. ერთ რამეზე მწყდება გული, რომ ამ წლების მანძილზე არ მოინახა თანხა საიმისოდ, რომ საქართველოში არსებობდეს კეთილმოწყობილი, გამართული სკოლა მსოფლიოში აღიარებული ქართველი მუსიკოსების აღსაზრდელად.

ჩვენ მოვამზადეთ კლიპი, რომელშიც გამოჩენილი ქართველი ხელოვანები გავაერთიანეთ. ამ კლიპს ძალიან ბევრი ღირსეული ქართველი მუსიკოსი აკლია. სირცხვილი და მართლა ფურთხის ღირსი ხარ რაა, გულგრილო, ზარმაცო, ფლიდო, გამომრჩენელო და უმადურო ქართველო!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*სპორტი*

## ბარსელონამ ბუენო დაიმატა, იუვენტუსს გომეში უნდა



ბარსელონამ დაადასტურა, რომ ურუგვაული პენარიოლიდან სანტიაგო ბუენო გადაიბირა, რომელიც ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ცნობისთვის, ბუენო ახლა სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაშობს და ამიტომ ის ჯერ კლუბს ვერ დაეხმარება.

სანტიაგო ბლაუგრანაში 2019 წლის 30 ივნისამდე იქნება, 3-წლიანი გახანგრძლივების პერსპექტივით.

სანამ ბარსელონა გაასაჯაროვებს თანხას, მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, კატალონიელებმა ფეხბურთელში მხოლოდ 1 მილიონ ევრო გადაიხადეს.

სამაგიეროდ, ბარსა შესაძლოა დატოვოს ანდრე გომეშმა, რომლითაც ტურინის იუვენტუსი ინეტერესდება.

„ბებერი ქალბატონი“ აპირებს ისარგებლოს იმით, რომ კატალონიურ კლუბს რამდენიმე ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივებისთვის ფული სჭირდება, კერძოდ, ლიონელ მესისთან. ამ დავალების გადაწყვეტისათვის, ესპანურ გრანდში თვლიან, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ტრანსფერზე უნდა დააყენონ. მართალია, იუვენტუსში იციან, რომ გომეშს ეს არ ემუქრება, თუ კატალონიელთა მთავარი მწვრთნელი, ლუის ენრიკე თავის პოსტზე დარჩება, რადგან ბარსელონამ გომეში მწვრთნელის დაჟინებული მოთხოვნით იყიდა. გარდა ამისა, თავად პორტუგალიელი ფეხბურთელიც არ ფიქრობს კლუბის შეცვლას.

## ვიაჩესლავ გროზნი: „დღეს ტექნიკის პრობლემა ქართველებსაც აქვთ“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ტიულია და 2 წლის შემდეგ დიდი ჯგუფის შევსებაა მოსალოდნელი და ამის დიდი იმედი გვაქვს.

***– რამდენად აქვთ თავად ფეხბურთელებს სურვილი, უახლოეს მომავალში დარჩნენ დინამოში და არ წავიდნენ სათამაშოდ საზღვარგარეთ?***

– თუ ფეხბურთელს პროგრესი ექნება და ასევე სერიოზული შემოთავაზება, კლუბი მათ საკითხს განიხილავს. ფეხბურთელები უნდა გადავიდნენ სერიოზულ კლუბებში, ხოლო დინამომ საამისოდ კომპენსაცია მიიღოს.

***– 10-გუნდიანი ჩემპიონატის „გაზაფხული-შემოდგომის“ სისტემაზე გადასვლა რით იყო გამოწვეული?***

– როგორც მითხრეს, ბევრ ქართულ კლუბს არც სპონსორი ჰყავს და არც ხარისხიანი ფეხბურთელი. ამიტომ, 10-გუნდიანი ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო იქნება. რაც შეეხება სისტემას, ჩათვალეს, რომ ზამთრის პაუზა დიდი ხნით არის და ამიტომ სეზონის დაწყება მარტში უფრო სასურველი იქნება. ყველა შემთხვევაში, მთელი მსოფლიო ინფრასტრუქტურით იწყებს. საქართველოში ბევრი ტალანტია, რომლებმაც კარგი აკადემიები უნდა გაიარონ. თუ ყველგან ისეთი ინფრასტრუქტურა იქნება, როგორიც დინამოშია, მოხიბლული დავრჩები. იმედია, ყველა ამ გზით წავა.

***– რას წარმოადგენენ თქვენი მეტოქეები? ჩემპიონ სამტრედიას კახა კალაძე პატრონობს?***

– ყველაფერში გარკვეული არ ვარ, მაგრამ ასე ამბობენ. თუ ასეა, ეს მას პატივისცემას მატებს. კარგი ფეხბურთელი იყო, ახლა მინისტრია, მაგრამ ასეთ გრაფიკში გამოძებნა დრო გუნდისთვის ყურადღების მისაქცევად. ჩემპიონატის ლიდერი სამტრედიაა. სათანადო ყურადღება ექცევა ასევე საჩხერის ჩიხურას. ძალიან ორგანიზებული გუნდია ქუთაისის ტორპედოც. ეს არატიპური ქართული კოლექტივია. ფეხბურთელები ბევრ შავ სამუშაოს ასრულებენ და უკრაინულ კლუბებს მაგონებს: აქტიურ პრესინგს თამაშობენ, ფეხბურთელებს სწრაფად ფარავენ. მოკლედ, მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან რთულია. საბურთალოში ესპანელი მწვრთნელები მუშაობდნენ და აკადემიაშიც პირინეული გეზი აქვთ არჩეული. ამ კლუბს კარგი მომავალი აქვს. ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აქცენტს თბილისის ლოკომოტივიც აკეთებს; კარგი გუნდი ჰყავს დილას, სადაც უცხოელი ინვესტორები მივიდნენ; გამოცდილი შემადგენლობაა შუქურაში.

***– მართალია, რომ კიევის დინამო თბილისის დინამოს ფეხბურთელებით – კიტეიშვილითა და პარუნაშვილით ინტერესდებოდა?***

– იყო ინტერესი პარუნაშვილის და ცენტრალური მცველის, რენე ფერეირას მიმართ. ამბობდნენ, რომ მათი შეკრებაზე წაყვანა სურდათ, მაგრამ ფერეირას აგენტმა სხვა კლუბი გამოუძებნა, მაგრამ სად არის ახლა, ვერ გეტყვით. პარუნაშვილი კონტრაქტით დინამოშია და თუ კიეველებს მისი ნახვა უნდათ, არის საკონტროლო მატჩები. როგორც ვიცი, კიეველების თვალთახედვის არეშია ლოჩოშვილი და მიქელთაძე, რომლებსაც ასაკით 19-წლამდე გუნდში შეუძლიათ თამაში. შეთანხმება არის მიღწეული, რომ თბილისელებსაც შეუძლიათ კიევიდან არენდით ახალგაზრდა ფეხბურთელები ჩამოიყვანონ. მე დიდი სიამოვნებით ვიხილავდი ფეხბურთელებს შახტარიდან და დნიპროდან.

***– ვიცით, რომ თბილისისა და კიევის დინამოს შორის თანამშრომლობაზე არის საუბარი.***

– დიახ. კლუბების ხელმძღვანელობას შორის შეთანხმება მიღწეულია და ესპანური შეკრების შემდეგ კიეველებს რაღაც შეთავაზება აქვთ. გარდა ამისა, გაზაფხულზე კიევის დინამო უკვე მივიწვიეთ ვიტალი დარასელიას თასზე სათამაშოდ. ეს დიდი ტურნირია, სადაც ბევრი ძლიერი კლუბი ჩამოდის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი**
**2 თებერვალი**

**07.00** დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" **08.00** ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "ფერმა" **15.00, 03.30** გადაცემა "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**სერენიტი**"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00, 17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ"**არაბესკა**" (ს.ლორენი) **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00**"მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **8-9** სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **2** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** სერ. "**რანი**" **5-6** სერ. **02.15** მხ/ფ "**ეჭვიანობა**" **04.15** მხ/ფ "**უმაღლესი ქულა**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.50, 20.03** სერ."**ოქროს გალია**" **22.00** პროფილი **23.30** P.S. **00.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18| **01.00** მხ/ფ "**ეროვნული საგანძური**" **03.30** მხ/ფ "**ეროვნული საგანძური – საიდუმლოების წიგნი**"

**06.05** საეკლესიო კალენდარი **06.15** სჯანი-ბუდიზმი **2** ნაწ. **06.40** პატერიკი-მორჩილების ძალა **06.45** დ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი "წმინდა მეფე თამარის ჯვარი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "მინიატურა სპილენძით" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ტრაპეზი "ქათმის ფილე სალათით-წიწიბურის ბურთულები" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "ენკაუსტიკური მხატვრობა საქართველოში" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "კაბადოკია-მერვე საოცრება" **19.40** პორტრეტები "იანო ალიბეგაშვილი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი "სულხან-საბა ორბელიანი, წმ. მეფე სოლომონ II" **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."იოსები ეგვიპტეში III" **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია "ქართლის მოქცევა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ანუხვი" **00.30** წმინდა მაქსიმე აღმსარებელი **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შექლეგ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 თებერვლისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7061 | ევრო — 2.8947 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3926 | 100 რუსული რუბლი — 4.5211 |

**ამინდის პროგნოზი 2 თებერვლისთვის**





## 31 იანვრიდან




ლოურენს რიზი
**მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 1 თებერვლიდან

**საქართველოს გეოგრაფიული ატლასი**




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 3 თებერვლიდან




**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## ლესტერის ფეხბურთელი რანიერის დაუპირისპირდა



ლესტერის არგენტინელმა ფორვარდმა ლეონარდო ულუამ კლაუდიო რანიერის მოღალატე უწოდა.

ულუას იანვარში ლესტერიდან წასვლა სურდა და რანიერი მას დაჰპირდა, რომ აუცილებლად გაუშვებდა იმ გუნდში, სადაც ულუა მოისურვებდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ულუას თქმით, რანიერიმ მისი ყველა შესაძლო ტრანსფერი დაბლოკა.

ამის გამო არგენტინელი ფორვარდი ლესტერის მწვრთნელს მოღალატეს უწოდებს და ამბობს, რომ ამ გუნდის მაისურით მოედანზე აღარასოდეს გავა.

ლესტერი ამჟამად ისედაც რთულ მდგომარეობაშია და ეს ინციდენტი ამ გუნდის თამაშზე კარგად არ იმოქმედებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ლესტერი ყველასთვის მოულოდნელად ინგლისის ჩემპიონი გახდა.

## იუმორი



ქვეყნის ხელმძღვანელმა პირობა დადო, რომ მალე ყველა სოფელში, ყველა სახლში იქნება ინტერნეტი. მისი წყალობით კი ხალხი უფრო სწრაფად შეიტყობს, როდის ექნებათ გაზი, წყალი, გათბობა და კანალიზაცია.

●●●

მატარებლის ვაგონში სულისშემძვრელი ყვირილი ისმის:

– დამეხმარეთ! ექიმი არის ვინმე?

ერთ-ერთი კუპიდან მამაკაცი გამოვარდა და დაიყვირა:

– ვის სჭირდება დახმარება?

– მე! – გახარებული პასუხობს ერთ-ერთი მგზავრი.

– რაშია საქმე?

– ექიმო, შეგიძლიათ მითხრათ, რა ეწოდება ყელის ავადმყოფობას?

●●●

სახლში გამოძახებით მისულ ექიმს მასპინძელი ეუბნება:

– ექიმო, ისე უხერხულად ვგრძნობ თავს, ასეთ თავსხმა წვიმაში რომ გამოგიძახეთ.

– არა უშავს, მეზობელ სახლშიცაა კიდევ ერთი ავადმყოფი, ასე რომ, ერთბაშად ორ კურდღელს მოვკლავ!

●●●

სამხედრო ნაწილის უფროსი მწყობრში მოწყობილ ჯარისკაცებს უყვირის:

– ყაზარმაში დალევის უფლებას არავის მივცემ, აქ თქვენ საბავშვო ბაღი არ გეგონოთ!

●●●

კაცი დილით სახლიდან გამოდის და ხედავს, მის მანქანაზე ამოკაწრულია წარწერა:

„მანქანა შეღებე!“

რა თქმა უნდა, კაცი გაბრაზდა, მაგრამ შემდეგ მანქანა კარგად შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:

– არადა მართალია, მანქანა შესაღებია.

მართლაც წაიყვანა მანქანა და შეაღებინა. მეორე დილით გამოდის სახლიდან და მანქანის კაპოტზე წარწერაა ამოკაწრული:

„ასე არ ჯობია!“

●●●

ქალმა აფთიაქში ბუასილის საწინააღმდეგო სანთლები იყიდა, რომ შეტრიალდა, დაინახა მამაკაცი და შეცბა იმის გამო, რომ მან მისი შენაძენი შენიშნა. კაცი ვითარების განმუხტვას შეეცადა და ეუბნება:

– ძალიან ლამაზი სასანთლე გაქვთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 2 თებერვლიდან

**ძმები გრიმები**

**რაპუნცელი**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ხესე ლას პალმასის ღირსებას დაიცავს



ესპანელი ფორვარდი ხესე სამშობლოში დაბრუნდა და ლას პალმასის ღირსებას დაიცავს.

ხესე პსჟ-ს ეკუთვნის და ლას პალმასში ის იჯარის წესით სეზონის ბოლომდე ითამაშებს. პსჟ-ში ხესე სეზონის დასაწყისში მადრიდის რეალიდან გადავიდა და ფრანგულ კლუბს ეს ტრანსფერი 25 მილიონი ევრო დაუჯდა.

საფრანგეთში ხესემ ვერ შეძლო თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენა და წლევანდელ სეზონში მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გატანილი გოლია.

ლას პალმასში ხესე სავარაუდოდ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება და მას შანსი მიეცემა, დაკარგული ფორმა აღიდგინოს.

## მამადუ საჰო კარიერას კრისტალ პალასში გააგრძელებს



ლივერპულის ფრანგი მცველი მამადუ საჰო სეზონის ბოლომდე კრისტალ პალასის ღირსებას დაიცავს.

ლივერპულმა საჰო იჯარის წესით გაუშვა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სეზონის ბოლოს მან კრისტალ პალასთან რამდენიმეწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.

საჰოს წლევანდელ სეზონში თითქმის არ უთამაშია, ამის მიზეზი კი ლივერპულის მწვრთნელ იურგენ კლოპთან უთანხმოებაა, რომელიც საჰოს ჯერ კიდევ აგვისტოში მოუვიდა.

ფრანგი მცველის თქმით, მან კლოპს ბოდიში მოუხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან გერმანელ სპეციალისტს აზრი არ შეაცვლევინა და საჰოს სხვა გუნდში მოუწევს კარიერის გაგრძელება.

## დიდიე დროგბა კორინთიანსში არ ითამაშებს

ჩელსის ლეგენდა, კოტდივუარელი ფორვარდი დიდიე დროგბა უკვე 38 წლის არის, მაგრამ კარიერის დასრულებას არ აპირებს.

დიდიემ ისაუბრა ბრაზილიურ კლუბ კორინთიანსზე და თქვა, რომ ის ამ კლუბის პრეზიდენტს შეხ-



ვდა, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება რომ კარიერა ბრაზილიაში არ გაეგრძელებინა.

დროგბამ წარმატება უსურვა კორინთიანსს და თქვა, რომ მათი დაინტერესება მისთვის დიდი პატივია.

დროგბას მომავალი კლუბის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა დროგბას იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში აქტიურ ფეხბურთს დაუბრუნდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იურგენ კლოპმა ჩელსისთან ფრე დადებითად შეაფასა



სამშაბათს ინგლისის ჩემპიონატის 23-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ლივერპულმა საკუთარ მოედანზე პრემიერ ლიგის ლიდერი ჩელსი მიიღო.

შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა გამარჯვების მოპოვება ორივე გუნდს შეეძლო. მატჩის შემდეგ ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ფრე ჩელსისთან კარგი შედეგია და ლივერპულმა საკუთარ თამაშზე მუშაობა უნდა გააგრძელოს.

კლოპის აზრით, ლივერპულმა ჩელსიზე უკეთესად ითამაშა, მაგრამ ვერ შეძლო თავისი სათამაშო უპირატესობის გამარჯვების გოლად ქცევა.

კლოპმა დასძინა, რომ ინგლისის ჩემპიონატში წინ კიდევ 15 მატჩია და მთელი ბრძოლა წინ არის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოპულარული მუსიკალური, საესტრადო ნაწარმოები; 2. ქალაქი ესტონეთში; 3. გადასატანი ქეჩის კარავი შუა-აზიაში; 4. გერმანიის პრეზიდენტი; 5. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 6. ვირტუოზი ჩეხი მევიოლინე მამაკაცი; 8. ქართველი მილიარდერი ქველმოქმედი, მეცენატი; 10. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. თეთრი ფერის, ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო.

**თარაზულად:** 1. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. მდინარე რომში; 9. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 12. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 13. ფინური აბანო; 14. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 17. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 20. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

